# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 1 თებერვალი 2003 №15 (1786) | ფასი 50 თეთრი



## ჩივაძემ ირლანდიას, შვეიცარიას და რუსეთს უკვე მოუგო მოლდოვას კი ძველი ბოლმით და ახალი თაობით დაუხვდება

# MENOTTI ANTICI



## მენოტი სანტექნიკოსი არ არის, ანტიჩი ყველაფერზე თანახმაა

რადომირ ანტიჩი დათანხმდა იმას, რაზეც ლუის სესარ მენოტი ვერ დაითანხმეს. წუხელ სერბმა მწვრთნელმა ხუან გასპარს ხელი მოუწერა 6-თვიან კონტრაქტზე და ჩემპიონთა ლიგის საგზურს, ანუ პრიმერადივიზიონის მოწინავე ოთხეულში ადგილს დაჰპირდა.

გასპარის ფავორიტი მენოტი კი იყო, მაგრამ არგენტინელი „ბარსელონასთან" ხანგრძლივ თანამშრომლობას და მისეული ფილოსოფიით გუნდის შენებას ითხოვდა. მაგრამ „ბარსელონას" ისტორიაში ალბათ ყველაზე წარუმატებელ პრეზიდენტს მოცდა არ შეეძლო და ანტიჩი არჩია.

სერბი დღესვე საქმეში ნახავს თავის ახალ გუნდს მადრიდის „ატლეტიკოსთან" მატჩში, იმ „ატლეტიკოსთან", რომელსაც 1996 წელს პრიმერადივიზიონი მოაგებინა და ზედაც სამეფო თასიც დააყოლებინა.

# მე და მოლდოვა

## 12 თებერვალს ჩივაძე საერთაშორისო სირცხვილის მოსაწმენდად ემზადება



*ალექსანდრე ჩივაძისთვის მოლდოვასთან მატჩი, თუნდაც ამხანაგური, ყველამ კარგად იცით, რასაც ნიშნავს — საქართველოს ნაკრების მწვრთნელის გუშინდელი პრესკონფერენცია მთავრდებოდა, როცა ჩივაძეს რვა წლის წინანდელი მატჩი მოაგონდა და ეს სიტყვებიც ჯავრიანად თქვა.*

*1994 წლის 7 სექტემბერს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, სწორედ მოლდოვა იყო, ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილ საქართველოს ნაკრების პირველი საერთაშორისო სირცხვილი რომ აჭამა. ერთი წლის მერე ჩივაძემ ეროვნული გუნდი უკვე კიშინიოვში ჩაიყვანა სათამაშოდ და მაშინაც დამარცხდა. მას აქეთ ჩივაძისა და მოლდოველთა გზები აღარ გადაკვეთილა. ახლა კი, 12 თებერვალს, საქართველოს ნაკრების სათავეში მობრუნებულს შანსი აქვს, მოლდოველებზე ჯავრი იყაროს. ჩივაძე რევანშისთვის ემზადება. ვემზადებით ჩვენც. 12 თებერვლის საქართველო — მოლდოვა რიგით მეექვსე იქნება. შევახსენებთ რომ ორი მარცხის მერე ქართველებმა მეტოქე შესარჩევ ციკლში ორჯერვე დაამარცხეს, ხოლო პირველი, 1991 წლის 2 ივლისის ამხანაგური მატჩი კიშინიოვში ჩვენების გამარჯვებით, 4:2 დასრულდა. მაშინ საქართველოს ნაკრებს გია ნორაკიძე წვრთნიდა.*

*ეროვნული გუნდის ამჟამინდელმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ კი გუშინ ის 19 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც მოლდოველებთან მომავალი შეხვედრისთვის მოამზადებს.*

**მეკარეები**

გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), გიორგი ნიკურაძე (კტპ, ფინეთი);

**მცველები**

გიორგი შაშიაშვილი (დინამო), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო), არჩილ სახვაძე (დინამო), ვალერი აბრამიძე (სპარტაკი, რუსეთი), გივი დიდავა (ქოჯაელისპორი, თურქეთი), რევაზ ქემოკლიძე (ქოჯაელისპორი, თურქეთი);

**ნახევარმცველები**

ლადო ბურდული (დინამო), ვიტალი დარასელია (დინამო), ალექსანდრე გოგობერიშვილი (დინამო), გივი კვარაცხელია (ლოკომოტივი), ზურაბ მენთეშაშვილი (ალანია, რუსეთი), დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია), მამია ჯიქია (ამიცა, პოლონეთი)

**თავდამსხმელები**

რატი ალექსიძე (დინამო), მიხეილ აშვეთია (ალანია, რუსეთი), შალვა აფხაზავა (არსენალი, უკრაინა), დავით ჩალაძე (რუბინი, რუსეთი)

*ჩივაძემ ეს შემადგენლობა ჩამოთვალა და მერე მოაყოლა:*

...12 თებერვალს, მოგეხსენებათ, ესტონელებთან გვქონდა ამხანაგური მატჩი დაგეგმილი, თუმც მიზეზთა გამო ჩვენი შეხვედრა ჩაიშალა და სათადარიგო ვარიანტთაგან, რაც წინასწარ გვქონდა შეგულებული, მოლდოვასთან გაჯიბრება ვამჯობინეთ. ეროვნულ გუნდში ახლა თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს და დარწმუნებული ვარ, ეს მატჩი, ეს გამოძახებული შემადგენლობა სამომავლოდ გამოგვადგება. მარტ-აპრილში ჩვენ სამი მეტად მნიშვნელოვანი ოფიციალური მატჩი გველის, მოლდოვასთან თავგამოჩენილთ კი იმ თამაშებისთვისაც გამოვიყენებთ. ნაკრების კარი ყველა ქართველი ფეხბურთელისთვის ღიაა, ერთ, კონკრეტულ მატჩზე ზოგიერთი თუ განზე დარჩა, ეს არ ნიშნავს მათზე უარის თქმას. ასაკს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ფეხბურთელი კარგ ფორმაში იყოს.

...ყველა ფეხბურთელზე გვაქვს ინფორმაცია, ყველას ვაკვირდებით. გამოძახებულთა უმეტესობა 12 თებერვლისთვის უცხოურ შეკრებაზე იქნება, თუმც თბილისში მატჩამდე ორი დღით ადრე ჩამოსვლაში მათ ხელი არ შეეშლებათ. რაც ნაკრების მწვრთნელი ვარ, პირველად მოვიწვიე ნიკურაძე, ქემოკლიძე, სახვაძე, აბრამიძე, მენთეშაშვილი, კვარაცხელია, აფხაზავა და ჩალაძე. აფხაზავას უკრაინის ჩემპიონატში საკმაოდ ბევრი გოლი გააქვს, ჩალაძე რუსეთის პირველი ლიგის ბომბარდირი გახდა. მათ გარდა კიდევ ორი თავდამსხმელი — აშვეთია და ალექსიძე გამოვიძახეთ. ისინი დიდი პოტენციის ფეხბურთელები არიან. ამ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელი ლევან მელქაძე ნაკრებს მიღმა დარჩა. თუმც მის შესაძლებლობებს სამომავლოდ გამოვიყენებთ.

...ვალერი აბრამიძემ მოსკოვის „სპარტაკში“ მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება შეიძინა. ძალიან მოუმატა „შტურმის“ ნახევარმცველმა დავით მუჯირმა, რომელიც რუსეთთან მატჩისთვისაც გვყავდა გამოძახებული, ზურაბ მენთეშაშვილის კანდიდატურა „ალანიას“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა შემოგვთავაზა. მენთეშაშვილი ძოძუაშვილ-ყიფიანის დროს კი იყო ნაკრებში, მაგრამ მე პირველად ვეძახი.

...გახარებული ვარ, რომ გიორგი ნემსაძემ ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით შეუდგა ვარჯიშს. ჩანს, ძველებურად ათამაშდა გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე კარგ ფორმაშია, კალაძეზე აღარაფერს ვამბობ, ქეცბაია კვიპროსში თამაშობს, მაგრამ გოლი გოლზე გააქვს, ეს ყველაფერი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.

...კლუბი სხვაა, ნაკრები — სხვა. ერთი ხელის მოსმით ნაკრების შემადგენლობას ვერ შეცვლი, ერთი ტაიმით ფეხბურთელის შესაძლებლობებში ბოლომდე ვერ დარწმუნდები. ნელ-ნელა ყველას მივცემთ თავის წარმოჩენის საშუალებას, ვინც დაიმსახურებს, ის ითამაშებს. მოლდოვასთან გაჯიბრებაც საიმისოდ წაგვადგება, რომ ნაკრების კანდიდატებს ერთხელაც დავაკვირდებით. ერთიორად მახარებს, როცა გაქვს საფუძველი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე უფრო და უფრო მეტი ფეხბურთელი მიიწვიო ნაკრებში.

...სამწუხაროა, რომ 29 მარტს ირლანდიასთან ვერ ითამაშებს ზურაბ ხიზანიშვილი, რომელიც რუსებთან ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩისას გააძევეს. თუმც კი ზურას აუცილებლად მოვიწვევთ და შვეიცარიასთან შეხვედრისთვის ჩვენთან ერთად მოემზადება.

...ჩვენი მეტოქეებიც თამაშობენ 12 თებერვალს. ირლანდია შოტლანდიას სტუმრობს, ალბანეთი იტალიაში ვიეტნამს გაეჯიბრება, შვეიცარიას სლოვენიასთან აქვს მატჩი დაგეგმილი, რუსეთი კვიპროსის ტურნირზეა მიწვეული. ჩვენ ყველა მეტოქის მატჩის ვიდეოფირს მივიღებთ და მათთან სამომავლო შეხვედრებისთვის გამოვიყენებთ.

...ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ხიზანეიშვილი, სირაძე, ახალაია ეროვნული გუნდის კანდიდატებიც არიან. მალხაზ ასათიანის მზადყოფნით კი კმაყოფილი არ ვარ და ვთვლი, რომ ის ნაკრებთვის მზად არ არის. მაგრამ მის ნიჭიერებაში დარწმუნებული ვარ. მან საკუთარ თავზე იმუშაოს და ნაკრებში მიწვევა არ დაუგვიანდება.

...მოლდოვასთან მატჩი ირლანდიისწინა რეპეტიცია არ იქნება, წინ თვენახევარია და იმიტომ. აი, 24-25 მარტს რომ გვქონდეს ამხანაგური თამაშის საშუალება, ეს სხვა საქმე იქნება. ისე კი ირლანდია-შვეიცარიისთვის მზადებას საქართველოს ნაკრები 24 მარტს დაიწყებს და შესაძლოა, ახალ ბაზაზე ვიცხოვროთ. თუმც იქვე ვერ ვივარჯიშებთ.

...მომავალ სამ შესარჩევ შეხვედრაში, რა თქმა უნდა, მაქსიმუმს ცხრა ქულას ვგეგმავთ. ირლანდიისთვის თბილისში ფრე დამღუპველი იქნება, ისინი მოსაგებად ითამაშებენ. ძალიან, ძალიან რთული მატჩები გველის.

პრესკონფერენციის ბოლოსკენ საქმე *ოთარ გაბელიასაც* მიეცა. კითხვა, ცხადია, მეკარეებს შეეხებოდა.

...გიორგი ნიკურაძე ფინეთში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება და მისი გასინჯვა არ გვაწყენს. მისი გუნდი ფინეთის მეორე ლიგიდან უმაღლესში ამ სეზონში დაბრუნდა და ლიდერთა შორისაა. ნიკურაძის თამაშის ერთი ფირი მოვიხელთეთ, დავაკვირდით მას და გადავწყვიტეთ, მოგვეწვია. ახლა თავს თუ გამოიჩენს, ნაკრებში მომავალშიც დავუძახებთ.

*და კვლავ ალექსანდრე ჩივაძე...*

...ჩემთვის მოლდოვასთან მატჩი, თუნდაც ამხანაგური, ყველამ კარგად იცით, რასაც ნიშნავს. თამაშის ხარისხსაც და შედეგსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელი ცხოვრება გამარჯვებისკენ მივისწრაფი, ამბიცია მაქვს და ამიტომაც ვამბობ, რომ მოლდოვა ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

**ქობა ინასარიძე**

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა. XIX ტური**

აინტრახტი 1:1 ფრაიბურგი

ბრაუნშვაიგი — ობერჰაუზენი გადაიდო

დუისბურგი — კიოლნი გადაიდო

### ინგლისი

**მეორე დივიზიონი. XXX ტური**

კარდიფი 1:1 ოლდემი

### იტალია

**სერია B. XXI ტური**

ბარი 0:1 ვენეცია

### ბელგია

**I დივიზიონი. XX ტური**

ანდერლეხტი — სტანდარდი გადაიდო

### საფრანგეთი

**II დივიზიონი. XXIV ტური**

მეცი 4:0 ლე მანი

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. XVIII ტური**

პსვ ეინდჰოვენი 3:0 როზენდალი

**II დივიზიონი. XVIII ტური**

იგლსი — ოსი გადაიდო

ვოლენდამი — ჰელმონდი გადაიდო

სპარტა — ემენი გადაიდო

ჰაარლემი — ჰერაკლესი გადაიდო

დორდრეხტი — მაასტრიხტი გადაიდო

ვეენდამი — კამბური გადაიდო

ვენლო — ტელსტარი გადაიდო

*საქართველოდან ორი წლის წინ შორეულ ფინეთში გადაიხვეწა, თითქმის ყველამ დაივიწყა, მაგრამ დასჭირდათ და გაიხსენეს. ფინური კოტკას კტპ-ს 23 წლის მეკარე გიორგი ნიკურაძე დღეს ნაკრების დებიუტანტია.*

*ეროვნულ ჩემპიონატში 1996 წლიდან უთამაშია. „კოდაკო“, თსუ, „დინამო 2“, „გურია“, „ლოკომოტივი“ და „გორდა“ მოუვლია. ისრაელშიც უცდია დამკვიდრება, მაგრამ რიგიანად ვერსად მოეწყო და საქართველოდან ათასი ძბის ქვეყნისკენ გასწია.*

*შესაშური ფიზიკური მონაცემების (192 სმ, 85კგ) ჩვენებური მეკარე კტპ-ს ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ითვლება. გიორგის ძებნაში მისი ფინელი საცოლეც შევაწუხეთ. ანამ რომ გაიგო საქართველოდან ვრეკავდით, გიორგის მობილური ტელეფონის ნომერი გვითხრა და ჩვენი სატელეფონო ინტერვიუც შედგა*

# ნაკრებში წუთებისთვის არ ჩამოვალ

## გიორგი ნიკურაძემ თავისუფლება ჰელსინკელ მოყვრებში ნახა



— ნაკრებში გამოძახებას ნამდვილად არ ველოდი. რამდენჯერმე ფეხბურთის ფედერაციიდან კი, შემეხმიანენ, მაგრამ ასე მალე თუ მიმიწვევდნენ არ მეგონა. გამოძახება კლუბში უკვე მოვიდა. ბილეთიც ამიღეს. 9 თებერვალს მოსკოვში ჩავფრინდები, 10-ში თბილისში ვიქნები.

**— ჩვენში ამბობდნენ ნიკურაძეს მოქალაქობის გამოცვლა განუზრახავსო...**

— ეგ გულშიც არ გამივლია. მსგავსი ინფორმაცია მას აქეთ გავრცელდა, რაც ჩემი ფინელი საცოლის ამბავი გაიგეს. ისე, თუ ნაკრებში იმიტომ მეძახიან რომ რამდენიმე წუთი მათამაშონ და მერე დამივიწყონ, მაშინ თბილისში ჩამომსვლელი არ ვარ.

**— ჰელსინკურ „იოკერიტში“ ძირითადად სათადარიგოდ იყავი გამწესებული. მწვრთნელი არ გენდობოდა?**

— თავიდან ტრავმამ დამაბრკოლა. კლუბთან კონტრაქტი გავაფორმე თუ არა, პირველივე ვარჯიშზე მუხლი დავიშავე. ჯვარედინი მყესები გავიწყვიტე და მკურნალობამ სამი თვე დამაკარგვინა.

გამოჯანმრთელებული და ფორმაში ჩამდგარი მწვრთნელმა სათამაშოდ გამიყვანა. ჯერაც მუხლს ვუფრთხილდებოდი, შეხვეული მქონდა, მატჩის მიწურულს კი მეტოქის ფორვარდმა ნატკენ მუხლში ორჯერ შეგნებულად ჩამარტყა. ხელი ვკარი და წაბორძიკდა, ცოტაც გააფორმა, რაც თანამსაჯმა თავისებურად აღიქვა და გამაძევეს.

მწვრთნელს მაშინ საყვედური არ დასცდენია, კიდევ ერთი შანსი მომცა, მაგრამ ისევ წითელი ბარათი მივიღე. თამაში მთავრდებოდა, როცა მეტოქეს პირისპირ შევრჩი. ბურთი გაიგდო, მეც ვერაფრით ვშველოდი გუნდს და შემტევი ხელით დავიჭირე. იან ევერსე ცოფებს ყრიდა, მას შემდეგ ძირითად შემადგენლობას არ მაკარებდა. სხვათა შორის, ევერსე იოჰან ბოსკამპის მეგობარია, თავის დროზე ერთად უთამაშიათ.

**— ჰელსინკიდან კოტკაში როგორ აღმოჩნდი?**

— ჩემპიონატი რომ დასრულდა, ევერსემ წინ ახალი კონტრაქტი დამიდო. ხელი მოაწერე, მაგრამ იცოდე ძირითადში თამაშის გარანტიას არ გაძლევო. მე დავემშვიდობე კეთილი სურვილებით და 60 ათასიან კოტკაში გადავბარგდი. იქაურები ძირითადში თამაშს მპირდებოდნენ.

**— ახალმა კლუბმა ყველა პირობა შეგისრულა?**

— ჰელსინკური „იოკერიტი“ ფინეთში ყველაზე წელგამართული კლუბია, მაგრამ კოტკაში მე გაცილებით ხელსაყრელი პირობები მაქვს. კონტრაქტი 2004 წლის დამლევს მიმთავრდება. ხელმძღვანელობამ სახლი და მანქანა არ დამამადლა, წელიწადში ორჯერ საქართველოში სამგზავრო ხარჯებს მინაზღაურებს, მთელი წლის მანძილზე ხელფასს მიხდის. სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ განვიცდი. სულ სამი მატჩი გამოვტოვე, ორი ტრავმის გამო, ერთი თამაში კი აშკარად ჩავაგდე და მწვრთნელმა ერთი ტურით დამასვენა.

**— ქართულ და ფინურ ჩემპიონატებს შორის დიდი სხვაობაა?**

— ჩვენში ძალიან ნელ ტემპში ბურთაობენ. აქ კი 90 წუთის მანძილზე ბრძოლა არ წყდება. ძალიან ხისტ ფეხბურთს თამაშობენ, ამიტომ ტრავმებიც ხშირია.

**— ბოლო მატჩი როდის ჩაატარე? როგორც ვიცით, ფინეთში ჩემპიონატი შარშან ოქტომბერში დასრულდა.**

— ახლახან დავბრუნდი შინ. ჩემს ყოფილ გუნდთან „იოკერიტთან“ ამხანაგური მატჩი გვქონდა და 2:1 გავიმარჯვეთ. მეოთხმოცე წუთზე შემცვალეს, გოლიც ჩემმა დუბლიორმა გაუშვა.

**— ფინეთში ახალი ჩემპიონატი მაისის მიწურულს იწყება. იქამდე მთელი სამი თვეა, ალბათ, თავისუფალი დროც ბევრი გექნება.**

— მე ასე არ ვიტყოდი. კტპ-ს საახალსეზონოდ მზადება დაწყებული აქვს. თანაც გუნდი უძლიერესთა ლიგაში ადზევდა და კლუბიც სათანადოდ ემზადება. დილით სავარჯიშოდ მივდივარ, მერე კლუბში ვსადილობ და შინ ვბრუნდები ძალების აღსადგენად. საღამოს კი ისევ ვარჯიშია.

ზოგჯერ თავისუფალი დროც გამოჩნდება. მეც ხან დისკოთეკაზე შევივლი, ხანაც საცოლის ოჯახში ჰელსინკში სტუმრად მივემგზავრები. ზოგჯერ კი ფინეთში მცხოვრებ ნათესავებთან ვსტუმრობ.

**— საცოლე რამდენჯერმე ახსენე, დაოჯახებას მალე აპირებ?**

— ახლო მომავალში არა. ანა 19 წლისაა და ჯერაც სტუდენტია. ამიტომ არ ვჩქარობთ. ისე არჩევანი უკვე გაკეთებულია. დანიშნულები ვართ და როცა დრო მოვა, ვიქორწინებთ კიდეც.

**მამუკა ძგანტალიანი**

# სიჩუმე სუფრაზე, მეგობრებო, იუბილარი ლაპარაკობს

## ნოდარ ხიზანიშვილის სადღეგრძელო: საქართველოს გაუმარჯოს სავსე სტადიონებით

*50 1981 წლის დიუსელდორფულ 13 მაისს თავისი გენიალურობით ერთი ლამაზი, დაუვიწყარი მომენტიც ახლდა — ნოდარ ხიზანიშვილის ჰაეროვანი კოცნა. ჟესტი, რომელშიც უზომო სიხარულით თავდავიწყებამდე მისულმა ფეხბურთელმა მთელი ემოცია ჩადო. ის კოცნა იმ მოგებული ფინალივით მთელ საქართველოს ეკუთვნოდა...*

*გუშინ ნოდარ ხიზანიშვილი 50 წლის შესრულდა.*

*საიდუმლოს გაგიმხელთ. ჩემმა მეგობრებმა მთხოვეს, რომ არ ვიფიქრო დღევანდელ დღეზე. რაღაცას აპირებენ, სიურპრიზს მიმზადებენ. ვენდობი მათ და მოლოდინში ვარ. ვიცი, განსაკუთრებული დღეა, მაგრამ ჩვეულებრივი განწყობა მაქვსო, ჩვეული თავდამბლობით გვითხრა იუბილარმა.*

*ქართული მენტალიტეტი და ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე სამსახურში ყოფნა ცოტა ვერ თავსდება ერთმანეთთან. ასეთ დღეს საქმეზე ფიქრი ძნელიცაა, ოღონდ არა ხიზანიშვილისთვის, რომელმაც „ნორჩი დინამოელის“ სკოლაში ვარჯიშებს შორის შესვენებისას გვიმასპინძლა*



## ყველაზე ცნობილი კოცნის ავტორი დღეს კოცნას ვერ აუდის

— ჩვენი ცხოვრება სხვაგვარადაა მოწყობილი. ნორმალურ ქვეყანაში ალბათ, ერთკვირიან შვებულებასაც მომცემდნენ, მაგრამ ეს საქართველოა, საქმეში ყოველდღიურად თუ არ ჩადე ის, რისი უნარიც გაქვს, არაფერი გამოვა. დრო კი არ ითმენს, ყოველმხრივ ჩამორჩენილები ვართ, მათ შორის ფეხბურთშიც. ჩვენი უპირველესი დეფიციტი საფეხბურთო აზროვნებაშია. ადრე განსხვავებული თაობა იყო, ამ მხრივ განვითარებული. შესაბამისად, სხვა საფეხბურთო ნიუანსების შეთვისებაც გვიადვილდებოდა. სწრაფი აზროვნება, მოედნის ხედვა, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღება — ეს თუ არ დევს ფეხბურთელში, კაპიკია მისი ფასი. ამ კომპონენტით ყოველთვის გამოვირჩეოდით ქართველები, შესაბამისად, საქმეც აწყობილი გვქონდა. დღეს კი მხოლოდ მონდომებაა შემორჩენილი. ამით ფონს გასვლა კი ძნელია.

— **ნიჭი?**

— ნიჭი დარჩა, მაგრამ მარტო ნიჭიერებითაც არ ეშველება საქმეს. მას თუ ყველა საფეხბურთო ნიუანსი არ მიაშველე, არაფერი გამოვა. აზროვნების ხარჯზე კი ნახევარი საქმის გაკეთება შეიძლება. რაც ზემოთ ვთქვი, ჩვენი საფეხბურთო უკუსვლის ერთ-ერთი ფაქტორია, სოციალურ-ეკონომიკურ ვაკუუმსაც თუ გავიხსენებთ, გამოდის, რომ მართლაც კატასტროფულად გვაქვს საქმე.

მშიერი ფეხბურთელი ღირებულს ვერაფერს შეგიქმნის. აგერ, 16-წლიანებს ვავარჯიშებ, ნიჭიერები არიან, მონდომებაც არ აკლიათ, მაგრამ ჩაკეტილები ვართ. მოზარდს სწორი კვება, ვიტამინები, გამართული სავარჯიშო ინვენტარი, უცხოურ ტურნირებში მიღებული გამოცდილება თუ არ აქვს, ჭეშმარიტ ფეხბურთელად ვერასდროს ჩამოყალიბდება. ესეც არ იყოს, საფეხბურთო გეოგრაფია შეგვიმცირდა. პერიფერიებში მკვდარია ფეხბურთი. კი, ბატონო, რაიონებიდან ჩამოსული ფეხბურთელები მეც მყავს ჯგუფში, ისინი ძირითადად ნათესავებთან ცხოვრობენ თბილისში და გარკვეულწილად ყურადღებას მოკლებულნი არიან. ეს ფაქტორი ნაკლებმნიშვნელოვანი როდია.

— **რაში ხედავთ გამოსავალს?**

— საქმის კეთება ნულიდან იწყება. ბავშვთა ფეხბურთზე უნდა ვიზრუნოთ. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა კლუბმა სხვადასხვა ასაკის ჯგუფები გაიჩინოს და ამით ფეხბურთელთა აღზრდა-დასაქმების პრობლემა მოგვარდება. ჩვენს უმაღლესლიგელებს ისედაც ჰყავთ ბავშვთა გუნდები, მაგრამ ყურადღება უფრო დიდ გუნდზეა მიპყრობილი. არადა, პირიქით უნდა იყოს. ქართული ფეხბურთი დღეს ერთი დღით ცხოვრობს, ეს კი სასიკეთო შედეგს არ მოიტანს.

— **საიუბილეო განწყობას გვარიანად დავშორდით, არადა, რამდენი რამ გაქვთ გასახსენებელი...**

— ჰო, 1981 წელი... ამისთვის მართლაც ღირდა მსხვერპლის გაღება.

— **დიდი იყო მსხვერპლი?**

— ძალიან დიდი. თასების თასის სავალ გზაზე ბევრი სიმწარე შეგვხვდა. დიდმა შრომამ მიგვიყვანა ტრიუმფამდე. გზადაგზა იმედგაცრუებაც ბევრი იყო, მაგრამ ყველაფერს გავუძელით. ნოდარ ახალკაცმა გაგვაცნობიერა იმაში, თუ რა გვინდოდა. დიდი მწვრთნელები სხვებიც იყვნენ, მათაც გრანდიოზული მიზნები ჰქონდათ, მაგრამ შემსრულებელი მაშინ ერთადერთი იყო — ნოდარ ახალკაცი. „დინამოს“ ტრიუმფში მისი წვლილი მართლაც ფასდაუდებელია.

ახალკაცმა მკაცრი დისციპლინით შეძლო გუნდის შეკვრა, წარმოუდგენლად გაგვიღვივა პასუხისმგებლობის გრძნობა. ახლანდელ თაობას რომ ვუყურებ, გული მწყდება. წაგებული თამაშის მერე თვითმფრინავის ტრაპიდან გადმოსვლის გვრცხვენოდა, ერთი სული მქონდა, შინ როდის მივაღწევდი, რომ მერე თავი არ გამომეყო გარეთ. სამწუხაროდ, დღევანდელ ქართულ ფეხბურთში პასუხისმგებლობის გრძნობა დაკარგულია.

— **მაშინდელი „დინამო“ შეკრული, მეგობრული გუნდი იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ზოგიერთ თანაგუნდელთან უფრო განსაკუთრებული ურთიერთობა გექნებოდათ...**

— მე, ოთარ გაბელია, დავით მუჯირი და ვიტალი დარასელია განუყრელი მეგობრები ვიყავით. ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვიდექით, სამწუხაროდ, ვიტალი დავკარგეთ, არაჩვეულებრივი სულის ადამიანი იყო.

— **მისი ოქროს გოლისას რა შეგრძნება გქონდათ?**

— ათი ათასჯერ რომ დამისვან ეს კითხვა, ამომწურავ პასუხს მაინც ვერ გავცემ. ეს იყო წამი, რომელმაც თავდავიწყებამდე მიმიყვანა.

— **ამას მოჰყვა თქვენი ჰაეროვანი კოცნა...**

— საფინალო სასტვენის შემდეგ ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ. მინდოდა, ყველაფერი ერთ ჟესტში გამომეხატა და ყველას მოვფერებოდი, ყველასთვის გამეზიარებინა ჩემი განწყობა... მგონი, გამომივიდა.

— **როდის იგრძენით, რომ თასების თასის მოპოვება შეგეძლოთ?**

— „ვესტ ჰემის“ ძლევის შემდეგ. მომავალ მეტოქეებს უკვე ჩვენი შიში



ზურაბ ხიზანიშვილი

გაუჩნდათ, „დინამო“ კი შეუბოჭავად, თავდაჯერებით თამაშობდა. ჩვენ წარმატებაში დიდი როლი ითამაშა იმ ფასდაუდებელმა გამოცდილებამ, რომელიც „ინტერთან“, „ლივერპულთან“ და „ჰამბურგთან“ მატჩებში მივიღეთ. ეს მართლაც დიდი სკოლა იყო.

— **ნაფინალევს თასების თასი შეიდლიტრიან განსხვავებულ სასმისად გადაიქცა...**

— ჰო, მაგრამ მიუხედავად ბევრის სურვილისა, ეროვნულზე მისი გამოცლა შეუძლებელი იყო, რადგან ფრანგული შამპანურით შეავსეს. სიმბოლურად დავლიეთ ყველამ, მაგრამ თავაშვებული ქეიფში არ გადაზრდილა ბანკეტი, არც გვქონდა უფლება. 5 დღის შემდეგ კიევის „დინამოსთან“ გვიწევდა უკრაინაში სტუმრობა.

— **თქვენმა ვაჟებმა მამის ხელობა ირჩიეს, გამორჩეულ წარმატებას უმცროსმა შვილმა მიაღწია. ზურაბს ფიზიკურის გარდა საფეხბურთო მსგავსება თუ აქვს მამასთან?**

— ძნელია საკუთარ შვილზე ლაპარაკი. ზურა მართლაც გამორჩეული თვისებებითაა დაჯილდოებული. საფეხბურთო თვალსაზრისით ჩემი ანტიპოდია. მე უფრო მოცემული დავალებების შესრულება შემეძლო, ბურთთან საქმეც ნაკლებად მქონდა, ზურა უფრო ტექნიკურია და გამართული საფეხბურთო აზროვნების ხარჯზე გაცილებით დიდი სამუშაოს შესრულება შეუძლია მოედანზე. პატარაობიდანვე გამორჩეული იყო, კონტაქტური, მეგობრული, ეს ყველაფერი მოგვიანებით მის თამაშზე აისახა, სხვაგვარად არ გამიგოთ და ალექსანდრე ჩივაძეს ვადარებ. ვისურვებდი, მისი დონის ფეხბურთელი დამდგარიყოს.

— **დაბადების დღეს რა სურვილს ჩაუთქვამთ?**

— მშვიდობას, ოჯახის წევრების, მეგობრების, ქართველი ხალხის კარგად ყოფნას და... ჩემი მშობლიური „დინამოს“ სტადიონის პირთამდე შევსებას. მოგუგუნე ტრიბუნებს საოცარი ნოსტალგია სცოდნია, მომენატრა შევსებული სტადიონის ნახვა. შინაურ კედლებში თამაში დიდი სტიმული იყო ჩვენთვის. მეტოქე ამის წყალობით შოკშიც ბევრჯერ ჩავარდნილა... ჩვენს სტადიონს სიყვარული ავსებდა, ფეხბურთის სიყვარული.

**პაატა ძვანტარიანი**



ნოდარ ხიზანიშვილის და ვალერი გაზაევის ორთაბრძოლა ალექსანდრე ჩივაძის და ოთარ გაბელიას თანდასწრებით

## ინგლისი

დავით თაქართქილაძე

# მოსწავლე და მასწავლებელი სქოთურად

## ლონდონური დერბი ფრანგულად

## ჯიმი დეზებთან ალაჯლაჯდება

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | — | ფულემი |
| ბოლტონი | — | ბირმინგემი |
| ჩელსი | — | ტოტენჰემი |
| ევერტონი | — | ლიდსი |
| მანჩესტერ სიტი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| მიდლსბრო | — | ნიუკასლი |
| საუთჰემპტონი | — | მანჩესტერი |
| სანდერლენდი | — | ჩარლტონი |
| **ხვალ** | | |
| ვესტ ჰემი | — | ლივერპული |
| ასტონ ვილა | — | ბლექბერნი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 25 | 16 | 5 | 4 | 54:27 | 53 |
| ნიუკასლი | 25 | 15 | 3 | 7 | 41:31 | 48 |
| მანჩესტერი | 24 | 14 | 5 | 5 | 40:24 | 47 |
| ჩელსი | 25 | 12 | 8 | 5 | 44:25 | 44 |
| ევერტონი | 25 | 12 | 6 | 7 | 32:30 | 42 |
| ლივერპული | 25 | 10 | 9 | 6 | 34:25 | 39 |
| საუთჰემპტონი | 25 | 10 | 9 | 6 | 28:23 | 39 |
| ტოტენჰემი | 25 | 11 | 5 | 9 | 35:35 | 38 |
| სიტი | 25 | 11 | 4 | 10 | 36:35 | 37 |
| ჩარლტონი | 25 | 10 | 6 | 9 | 31:32 | 36 |
| ბლექბერნი | 25 | 8 | 10 | 7 | 31:28 | 34 |
| ასტონ ვილა | 25 | 9 | 5 | 11 | 27:27 | 32 |
| ლიდსი | 25 | 9 | 4 | 12 | 33:32 | 31 |
| მიდლსბრო | 25 | 8 | 6 | 11 | 29:29 | 30 |
| ფულემი | 24 | 7 | 6 | 11 | 25:31 | 27 |
| ბირმინგემი | 24 | 6 | 8 | 10 | 20:32 | 26 |
| ბოლტონი | 25 | 4 | 9 | 12 | 25:41 | 21 |
| ვესტ ჰემი | 25 | 4 | 8 | 13 | 28:48 | 20 |
| სანდერლენდი | 25 | 4 | 7 | 14 | 16:35 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 4 | 5 | 15 | 17:36 | 17 |

**ტურის** მთავარი მატჩი „სენტ მერიზე" ჩაივლის — „საუთჰემპტონის" და „მანჩესტერ იუნაიტედის" გაწევ-გამოწევა ტევადი მოვლენაა.

ინტრიგა უბრალო და დიდია. „საუთჰემპტონს" შოტლანდიელი, წითური გორდონ სტრაჩანი წვრთნის, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედს" მისივე თანამემამულე ალექს ფერგიუსონი.

სტრაჩანი-ფერგიუსონის წყვილზე ლაპარაკი 80-იან წლებში გვამოგზაურებს — მაშინ შოტლანდიურ აბერდინს სერ ალექსი წვრთნიდა და სტრაჩანი კი მის სამწყსოში უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ — მათ ერთად თასების თასიც მოიგეს 1985 წელს.

ერთი წლის შემდეგ წყვილი „ოლდ ტრაფორდზე" გადაბარგდა და რამდენიმე საინტერესო ფურცელიც აკინძა მემკვიდრეობისთვის.

კერძოდ, 1999 წელს ფერგიუსონმა ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა, რომელშიც სტრაჩანი არასაიმედო ფეხბურთელად მოიხსენია.

მაგრამ გორდონს ბოლმა გულში არ ჩაუდია და არც არასდროს დაუმალავს თავისი აღტაცება ფერგიუსონის სამწვრთნელო სტილის მიმართ — ყოველ შემთხვევაში, სტრაჩანს სახალხოდ არასდროს გაუკიცხავს სერ ალექსი.

ერთი დეტალიც. „საუთჰემპტონის" 24 წლის ფორვარდ ჯეიმს ბიტის მიმდინარე პრემიერლიგაში 16 გოლი შეუყრია და ოდენ ერთით ჩამორჩება ტიერი ანრის. ბიტი ინგლისის ეროვნულ ნაკრებშიცაა მიწვეული 12 თებერვლის მატჩში ავსტრალიის წინააღმდეგ, ხოლო „მანჩესტერი" ამასობაში მის გადაბირებას ეშურება და 12 მილიონ გირვანქასაც გამოდის.

„ყველამ იცის, თუ რა ფორმაშია „მანჩესტერი" და რა კლასის გუნდია. მაგრამ ახლა ჩვენც კარგად ვთამაშობ და „მანჩესტერთან" გაჯიბრებით ვისიამოვნებთ კიდეც. შეგვიძლია კაი ჯახი მოვაწყოთ" — აი, ასეთი, ბიტის წინასამატჩო სიტყვა.

„მანჩესტერი" ბოლო დროს მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება — ზედიზედ ბოლო ოთხი პრემიერლიგური მატჩი მოიგო.

„საუთჰემპტონს" კი ყვავილობის ხანა დეკემბერში ჰქონდა და სტრაჩანი მაშინ თვის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს.

ცრურწმენაზეც ვთქვათ. ფერგიუსონის ხელმძღვანელობით „მანჩესტერს" „საუთჰემპტონის" ძველ სტადიონ „დელ გრაუნდზე" არასდროს მოუგია. წინა სეზონიდან კი „საუთჰემპტონი" სხვა არენაზე, „სენტ მაერიზე" თამაშობს და იქ შარშანდელ სეზონში 1:3 დამარცხდა „მანჩესტერთან".

ტურის დანარჩენ მატჩებზე ლაპარაკი ლონდონური დერბით დავიწყოთ. წინა ტურში „სიტისგან" ნაგვემი ფულემი ეწვევა 4:1 და ვინძლო „ჰაიბერის", სადაც არასდროს მოუგია, ეგებ ფხიანად იომოს — ჟან ტიგანა და არსენ ვენგერი ფრანგები არიან და ესეც თავისებურ ელფერს სძენს ამ დერბის.

„მეთოფეთა" შორის შესაძლოა სერიოზული დანაკლისი იყოს — წინა ტურში „ლივერპულთან" დიდებულად მოთამაშე დენის ბერხკამპს ტერფი დაუზიანებია და მისი დღეს თამაში სათუოა.

„არსენალის" მდევარმა „ნიუკასლმა" უნდა მოიგოს — ვარაუდობენ ბრიტანულ ბუქმეკერული კანტორები, რაც ალბათ წინა ტურში „მიდლსბროს" დაჩიავებითაცაა განპირობებული — ბოროელებმა ხომ შინ 2:5 წააგეს „ვილასთან", ხოლო „ნიუკასლმა" ლონდონში დასცა „ტოტენჰემი" 1:0.

თვალსასეირო ბურთაობაა მოსალოდნელ „სტემფორდ ბრიჯზე". ჩელსელებს ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი დაუბრუნდებათ, რომელმაც ტრავმის გამო ბოლო ორი მატჩი გააცდინა. „ტოტენჰემს" კი არასტაბილურობა დასჩემდა — ბოლო ხუთი მატჩიდან პირველი ორი მოიგო, მერე სამივე წააგო. გლენ ჰოდლის გუნდს ვინძლო, საუკეთესო შემტევი რობი კინი გამოაკლდეს — ტერფმტკივანი ირლანდიელის თამაში ძალიან საეჭვოა, ხოლო მხცოვან ტედი შერინგემს ბოლო რვა თამაშში ოდენ კინკილა გაუტანია.

სატრანსფერო პერიპეტიების ცენტრში მოქცეული „ლიდსი" ლივერპულში სტუმრობს „ევერტონთან" და დიდი შანსები ნაღდად არ ემზირება, „ევერტონი" კი ყმაწვილ უეინ რუნის მოისაკლისებს — ის დისკვალიფიცირებულია.

ბარემ მეორე მერსისაიდულ გუნდზეც ვთქვათ. „ლივერპულს" ერთ-ერთ აუტსაიდერთან გასეირნება ნაღდად არ ელის — „ვესტ ჰემს" თითქმის ორთვიანი მკურნალობის შემდეგ პაოლო დი კანიო დაუბრუნდა, რომელმაც წინა ტურში ყოფის დღე უტირა „ბლექბერნს" და „ჩაქუჩებიც" ახლა მართლა იშტაზე არიან.



მასწავლებელი და მოსწავლე: ალექს ფერგიუსონი და გორდონ სტრაჩანი

## იტალია

[illegible]



შარშან რომში ვერონელებმა იაპ სტამი და „ლაციო" სამი გოლით „დაასაჩუქრეს"

# ლაციოს ვირის წიხლი სწყენია

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რომა | - | ბოლონია |
| პიაჩენცა | - | ბრეშა |
| **ხვალ** | | |
| ემპოლი | - | კომო |
| ტორინო | - | ინტერი |
| ატალანტა | - | იუვენტუსი |
| კიევო | - | ლაციო |
| მილანი | - | მოდენა |
| რეჯინა | - | პერუჯა |
| პარმა | - | უდინეზე |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 18 | 12 | 3 | 3 | 34:12 | 39 |
| ინტერი | 18 | 12 | 3 | 3 | 36:20 | 39 |
| იუვენტუსი | 18 | 11 | 5 | 2 | 34:13 | 38 |
| ლაციო | 18 | 10 | 6 | 2 | 33:17 | 36 |
| კიევო | 18 | 10 | 2 | 6 | 28:18 | 32 |
| უდინეზე | 18 | 8 | 5 | 5 | 17:16 | 29 |
| ბოლონია | 18 | 7 | 7 | 4 | 21:16 | 28 |
| პარმა | 18 | 7 | 6 | 5 | 30:20 | 27 |
| პერუჯა | 18 | 7 | 4 | 7 | 23:23 | 25 |
| რომა | 18 | 6 | 5 | 7 | 28:27 | 23 |
| ემპოლი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:27 | 22 |
| მოდენა | 18 | 6 | 2 | 10 | 12:26 | 20 |
| ბრეშა | 18 | 4 | 7 | 7 | 20:27 | 19 |
| ატალანტა | 18 | 4 | 5 | 9 | 19:29 | 17 |
| რეჯინა | 18 | 4 | 4 | 10 | 15:32 | 16 |
| პიაჩენცა | 18 | 3 | 4 | 11 | 14:28 | 13 |
| ტორინო | 18 | 2 | 5 | 11 | 11:32 | 11 |
| კომო | 18 | 1 | 7 | 10 | 11:27 | 10 |

**„იუვენტუსი"** ფორმაშია. „ატალანტა" — გასავარდნთა ზონაში. ერთი სიტყვით, ბერგამოში დიდი ტესტ-მატჩი გაიმართება. ცხრილის საპირისპირო მხარეებზე მყოფი მეტოქეები ერთმანეთს კბილებს შეუმოწმებენ. „იუვემ" წინა ტურში „პიაჩენცას" 2:0 მოუგო, დარწმუნდა, რომ გამოჯანმრთელებული დავიდ ტრეზეგე მის თავდასხმას ძველებურ სიმწვავეს მატებს და ლიდერს, „მილანს" მიუახლოვდა, ერთი ქულითღა ჩამორჩება.

„ატალანტა", როგორც მოგახსენეთ, ძველებურად გასავარდნთა ზონაშია, მაგრამ ყოჩაღად ბრძანდება — ბოლო ოთხ ტურში მარცხი არ იცის, ხოლო ბოლო ორ ტურში „რომა" და „მოდენა" დაიფრინა. ბერგამოელები შედეგების გარდა ლამაზი ფეხბურთითაც იწონებენ თავს, ხუთშაბათს კი სერია B-ს „ლეჩესგან" ხორვატი დავორ ვუგრინეციც იყიდეს.

ვუგრინეცი, ნება გვიბოძეთ შეგახსენოთ, ის კაცია, რომელმაც მსოფლიოს გასულ ჩემპიონატზე იტალიელთა ძლევაში ლომის წილი დაიდო.

„იუვეს" თავკაცს, მარჩელო ლიპის სრული შემადგენლობა ჰყავს. ალესიო ტაკინარდი ისევ კარგ ფორმაშია, ანტონიო კონტესი კი რქანიც ხნავენ. სხვათა შორის, ტაკინარდი ბერგამოელია და სიბერეში „ატალანტაში" თამაშს აპირებს.

„ბერგამოელები კარგ ფორმაში არიან და, ცხადია, ჩვენს დამარცხებას შეეცდებიან — ამბობს ტაკინარდი, ოღონდ ჩვენ თუ ნამდვილი „იუვენტუსივით" ვითამაშებთ, ჩვენსას გავიტანთ. „ატალანტა" ჩემს გულში მეორე გუნდია, მე მან გამზარდა და გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამომიყალიბა".

„მილანს" კი წინა ტურში უდინეში დამარცხების შემდეგ გამარჯვება სჭირდება, თუმცა ამას რივალდოს გარეშე უნდა მიაღწიოს — ბრაზილიელი რამდენიმე დღის წინ ჩინეთს გაემგზავრა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში სათამაშოდ.

ოღონდ, „შავ-წითლებმა", რომელთა სავარაუდო შემადგენლობაში კალაძეც წერია, საეჭვოა თუნდაც რივალდოს გარეშე ვერ აჯობოს „მოდენას". „სან სიროზე" ისინი ჯერ არავის დაუმარცხებია, „მოდენამ" კი რვა ტურია მოგება არ იცის.

„მილანის" სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, რედონდო, ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო, ინძაგი.

„კიევო" „ლაციოს" მასპინძლობს. რომაელებმა, მოგეხსენებათ, წინა ტურში „რეჯინასთან" წააგეს, მაგრამ სალაღობი ის არის, რომ რობერტო მანჩინის გუნდს ამ შეხვედრამდე პირველი ტურის შემდეგ არ წაეგო. და ვისთან წააგო „ლაციომ" პირველ ტურში? „კიევოსთან"! ასე რომ, განაწყენებული ვენდეტას მოისურვებს.

ვერონელთა შემადგენლობაში კი სიახლეს ვიხილავთ, ითამაშებს შვედი ნახევარმცველი ფრედრიკ რისპი — გამოჯანმრთელთა თავდამსხმელი ფედერიკო კოსატოც, ასე რომ, „მფრინავი ვირები" შესაძლოა, ზედიზედ მესამედ სულაც არ დამარცხდნენ.

„პარმა" — „უდინეზე" იმითაა საინტერესო, რომ კარგ ფორმაში მყოფ „უდინეზეს" არგენტინელი ვეტერანის, ნესტორ სენსინის გარეშე მოუწევს ძალების გამოცდა. არ იქნება ბრაზილიელი ნახევარმცველი ალბერტოც, მაშინ, როდესაც „პარმას" ადრიან მუტუ უბრუნდება.

უცნაურია, რომ ბოლო დროს პარმელებმა ბევრი ფეხბურთელი გაასესხეს და ზურგიც მოისუსტეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მწვრთნელს, ჩეზარე პარანდელის ვინც ჰყავს, ჯანმრთელად არიან.

„ინტერი"... ტურინში „ტორინო" უნდა დაამარცხოს თუ უნდა, რომ „მილანი" არ გაექცეს, მაგრამ „ტორინომ" ზედიზედ სამი თამაში რომ არ წააგო?

მატიას ალმეიდაც დაშავდა, ორი თვე მაინც არ იქნება. დისკვალიფიცირებულია ლუიჯი დი ბიაჯოც. ელიან კრისტიან ძანეტის გამოჩენას, მაგრამ ნახევარდაცვაში მეწყვილე ვინ ეყოლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი

ვაჟა ხეცინაშვილი

# ყველაფერი შეიძლება მოხდეს
## მადრიდი ბარსელონაშია, ბარსელონა მადრიდში

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატლეტიკო | — | ბარსელონა |
| **ხვალ** | | |
| მალაგა | — | უელვა |
| ვალენსია | — | მალიორკა |
| სელტა | — | სევილია |
| ბილბაო | — | სოსიედადი |
| ესპანიოლი | — | რეალი |
| ბეტისი | — | დეპორტივო |
| ოსასუნა | — | ვილიარეალი |
| ვალიადოლიდი | — | რასინგი |
| ალავესი | — | რაიო ვალეკანო |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 19 | 12 | 7 | 0 | 36:21 | 43 |
| რეალი | 19 | 10 | 8 | 1 | 40:19 | 38 |
| ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 32:16 | 35 |
| ბეტისი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:21 | 33 |
| დეპორტივო | 19 | 9 | 5 | 5 | 27:24 | 32 |
| სელტა | 19 | 9 | 3 | 7 | 22:18 | 30 |
| მალიორკა | 19 | 8 | 3 | 8 | 24:32 | 27 |
| ატლეტიკო | 19 | 6 | 7 | 6 | 29:26 | 25 |
| მალაგა | 19 | 5 | 9 | 5 | 23:24 | 24 |
| ვალიადოლიდი | 19 | 7 | 3 | 9 | 19:22 | 24 |
| ალავესი | 19 | 6 | 6 | 7 | 25:30 | 24 |
| ბარსელონა | 19 | 6 | 5 | 8 | 27:25 | 23 |
| ოსასუნა | 19 | 6 | 5 | 8 | 22:25 | 23 |
| სევილია | 19 | 5 | 7 | 7 | 15:15 | 22 |
| ვილიარეალი | 19 | 5 | 7 | 7 | 19:22 | 22 |
| ბილბაო | 19 | 6 | 4 | 9 | 27:35 | 22 |
| რასინგი | 19 | 6 | 2 | 11 | 21:27 | 20 |
| ესპანიოლი | 19 | 6 | 2 | 11 | 22:29 | 20 |
| რაიო | 19 | 5 | 3 | 11 | 19:28 | 18 |
| უელვა | 19 | 3 | 5 | 11 | 16:36 | 14 |

**დღეს და ხვალ** ორი მადრიდული გუნდი ორ ბარსელონურს შეხვდება. მადრიდში „ატლეტიკო" „ბარსელონას", ხოლო ბარსელონაში „ესპანიოლი" „რეალს" უმასპინძლებს. ცხადია, ეს მატჩები უდიდეს ინტერესს იწვევს, თუმც ბასკური ჯახის დავიწყება არ ეგების. ბილბაოში „ატლეტიკი" უძლეველ „სოსიედადს" წასაქცევად დაეჭიდება.

დაუნიშნეს თუ არა „ბარსელონას" ახალი მწვრთნელი, ამას მალე შევიტყობდთ, მაგრამ კატალონიელი ქომაგების მოშლილი ნერვების (ამ საქმეში ვან გაალი პროფესორია) აღდგენა ნებისმიერი ახალი სპეციალისტისთვის საკმაოდ რთული იქნება. „ბარსას" ორი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ჰყავს, რომლებიც დღეს გუნდს დააკლდებიან — ფილიპ კოკუ და პატრიკ კლუივერტი. ტრავმებს უჩივიან არგენტინელები — ხუან რომან რიკელმე და ხავიერ სავიოლა. ჯანზე არც კარლეს პუიოლია, თუმც მათი თამაში სავსებით შესაძლებელია.

„უეფასგან" თასის მეოთხედფინალში ძლეული მადრიდის „ატლეტიკოს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები მწყობრში არიან. წინა ტურში „სოსიედადთან" საშინაო მარცხის შემდეგ „ატლეტიკო" მოსაგებადაა შემართული და თუ დღევანდელი მისი მეტოქის მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მასპინძელთა გამარჯვება მოულოდნელი არ იქნება.

ბილბაოს „ატლეტიკს" მცველი ხოსე მარია ლაკრუსი არ ეყოლება, რომელსაც გვერდს ნახევარმცველი კარლეს გურპეგი აგულიანებს.

„სოსიედადის" ბანაკში მატებაა. გუნდს ტრავმამოშუშებული რუსი ლეგიონერი ვალერი კარპინი დაუბრუნდა და ისედაც ძალგულოვან თანაგუნდელებს შეუერთდება.

ხავიერ კლემენტეს მისვლის შემდეგ ბარსელონის „ესპანიოლი" ალბათ „რეალის" წაქცევაზეც არ იტყვის უარს, ოღონდ თავის მხრივ მალიორკაში შერცხვენილი სამეფო კლუბი შეეცდება, შელახული სახელი აღიდგინოს.



პატრიკ კლუივერტი და ხავიერ სავიოლა: ბაჭიავ, დღეს მე არ ვთამაშობ და აბა, შენ იცი

„მესტალიაზე" „მალიორკას" იხილავენ. სტუმრებს მიგელ ანხელ ნადალისა და მეგოლე ვალტერ პანდიანის გარეშე მოუწევთ ბრძოლა. დამხვდურთაგან საეჭვოა რუბენ ბარახას თამაში.

სევილიაში „ბეტისი" თასის ნახევარფინალისტ „დეპორტივოს" დაუხვდება. პირველ წრეში „რიასორზე" „ბეტისმა" 4:2 იმარჯვა და გალისიელები სევილიაში რევანშის აღებას გეგმავენ.

„ოსასუნა" „ვილიარეალს" უმასპინძლებს. დამხვდურებს ნახევარმცველი პაქსი პუნიალი, სტუმრებს კი ბრაზილიელი ლეგიონერი მარკო სენა არ ეყოლებათ.

„მალაგამ" დიდი ხნის ჩავარდნის შემდეგ წინა უქმეებზე „მალიორკას" ძლევით გუნება გამოიკეთა და ახლა ზეიმის გაგრძელება „უელვასთან" სურს.

სვლააკრეფილ „ალავესს" მეტოქის, „რაიო ვალეკანოს" ახალი მწვრთნელი გუსტავო ბენიტესი ეწვევა — მოგების სურია „ალავესიდან" უნდა დავიწყოთ. რაც, ვფიქრობთ, ერთობ საეჭვოა.

ვალიადოლიდში მთავარი ამბავი „რასინგის" კი არა, მისი პრეზიდენტის, დმიტრი პიტერმანის სტუმრობა იქნება. ახალგამომცხვარი პრეზიდენტი მწვრთნელობასაც აპირებს და გამოუვა თუ არა ორივე საქმე, პრიმერადივიზიონის ცხრილს დაეტყობა.

# გერმანია

დავით თავართქილაძე



პირველ წრეში კლაუდიო პიზარომ და „ბაიერნმა" „არმინია" 6:2 გაანადგურეს

# ტოპმიოლერის კრიტიკული დღეები
## როგორ დაიცავს ჰიგიენას ლევერკუზენი?

**კლაუს ტოპმიოლერს** ძველი ნათქვამი გაუხსენეს — თუ ზამთრის შესვენების შემდეგ პირველ ოთხ მატჩში ჩავფლავდებით, ჩემს გადადგომას უნდა ელოდოთო.

„ლევერკუზენის" დამრიგებელმა ერთი კვირის წინ პირველი მატჩი უკვე წააგო, თანაც შინ, თანაც ბოლოადგილოსან „კოტბუსთან" და თანაც 0:3.

ყველა უბედურებას რვათვიანი პაუზის შემდეგ გამოჯანმრთელებული იენს ნოვოტნის ტრავმაც დაემატა — რეციდივი ისეთი გამოდგა, რომ ლევერკუზენელთა ლიბერო სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

ხვალ კი „ლევერკუზენი" ვესტფალიის მიწაზე ითამაშებს ჩემპიონ „დორტმუნდთან" და ვინძლო ტოპმიოლერმა დანომრილი მატჩებიდან მეორე წაგება გამოადნოს.

და ტურის ეპიცენტრიც დორტმუნდი იქნება, რომლის სათაყვანებელმა გუნდმა წინა ტურში სტუმრად წააგო „ჰერტასთან".

მეორე ადგილზე აღზევებული „ვერდერი" კიდევ უფრო ჩრდილოეთით წაიწევს და „ჰამბურგერ შპორტფერაინს" დაეჭიდება — „მუსიკოსებს" გერმანიის ეროვნული ნაკრების მცველი ფრანკ ბაუმანი მოაკლდებათ დისკვალიფიკაციის გამო.

ჰამბურგული საინტერესო ამბავი კი ისაა, რომ კურტ იარას გუნდში მეორე მატჩს ითამაშებს ახლადშეძენილი იაპონელი ფორვარდი ნაოჰირო ტაკაჰარა — ის წინა ტურში ერთობ უნიათოდ გაისარჯა „ჰანოვერთან".

გელზენკირხენშიც პატარა თამაში როდია. მართალია, „შალკე" აუტსაიდერს და სრული გაკოტრების ზღვარზე მისულ „კაიზერსლაუტერნს" მასპინძლობს, მაგრამ „ლაუტერნი" ხომ საშინლად უცნაური გუნდია — ეგებ ერიკ გერეტსის ბიჭები სენსაციას გაეთამაშონ.

„ხუმარებს" არ ეყოლებათ გაგერმანელებული ჯერალდ ასამოა და პოლონელი მცველი ტომაშ ვალდოხი — ორივენი საექიმო არიან.

ზურგი ასტკივებია ფსევდოვარსკვლავ მიროსლავ კლოზეს, მაგრამ ის „ლაუტერნს" არ დაალალატებს და მაინც ითამაშებს.

დიადი „ბაიერნი" ბილეფელდში შეეცდება მორიგი სამი ქულის მოპოვებას. ამ ქალაქში ბავარიელებს მხოლოდ ორჯერ წაუგიათ „არმინიასთან", ბოლოს 1997 წელს. ამ სეზონში კი მიუნხენელებმა შინ 6:2 გვემეს ბუნდესლიგაში ახლადაღზევებულები.

ბილეფელდელებს შემტევი არტურ ვიშნიარეკის საკითხი აღარდებთ — მტკივანი საზარდულის გამო მისი თამაში სათუოა.

„ბაიერნს" კი ორი სერიოზული დანაკლისი აქვს — მიხაელ ბალაკი დისკვალიფიცირებულია, ხოლო მეჰმეტ შოლი გრიპშეყრილი.

საინტერესოდ გამოსჭვივის „შტუტგარტი" — „ჰერტას" წყვილი. ფელიქს მაგათის გუნდს პრობლემები დაჰგროვებია — მცველები რუი მარკეში და თომას შნაიდერი და ნახევარმცველი სილვიო მაისნერი ვერ ითამაშებენ; ხოლო დედაქალაქური „ჰერტა" საღ-სალამათია — ჰუუბ სტივენსს საღარდებელი მართლაც არ ეგულება.

სტატისტიკურად მეორე მიუნხენურ კლუბს „ბაიერნზე" უკეთ აქვს საქმე — „ცისფერ ლომებს" შინ ერთხელაც არ წაუგიათ „ჰანოვერ 96"-თან — მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონები პირველი წრეში კი შინ 0:3 დამარცხდნენ „მიუნხენ 1860"-თან.

შტეფან კუნცბერგის „ვოლფსბურგი" ოდესღაც დიდ „გლადბახს" ეწვევა. ჰანს მაიერის გუნდი ორ ფორვარდს მოისაკლისებს — ქორის ვან ჰუტი და პეტერ ვან ჰულტი ჯანზე ვერ არიან.

კოტბუსის „ენერგის" პირველ წრეში „ბოხუმმა" 5:0 გადაუგბინა, მაგრამ „ლევერკუზენთან" სტუმრად მოგების შემდეგ კოტბუსელთა მებრძოლი სული შურისძიებისთვისაა აქმიტინებული. „ბოხუმის" ულკაშა, ჰალსტუხიანმა და ოდნავ გაცრეცილი კლასიკური ჯინსებით გამორჩეულმა თავკაცმა პეტერ ნოიურერმა კი ისღა თქვა, წინა ტურის შემადგენლობას არ შევცვლით — ერთი კვირის წინ ბოხუმელებმა შინ „ნიურნბერგს" ძლიეს 2:1.

თვით „ნიურნბერგს" ფეხბურთელთა მთელი ჯგრო ჰყავს შეუძლოდ, მაგრამ შინ როსტოკის „ჰანზასთან" მატჩში მაინც ფავორიტია.

...„ბაიერნის" შმაგი სვლა-გეზი მიზეზი არაა — ბუნდესლიგაში კვიმატი კალრები ყოველთვის იქნება.

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| შტუტგარტი | — | ჰერტა |
| გლადბახი | — | ვოლფსბურგი |
| არმინია | — | ბაიერნი |
| მიუნხენ 1860 | — | ჰანოვერი |
| ნიურნბერგი | — | ჰანზა |
| კოტბუსი | — | ბოხუმი |
| შალკე | — | ლაუტერნი |
| **ხვალ** | | |
| ჰამბურგი | — | ვერდერი |
| დორტმუნდი | — | ლევერკუზენი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 18 | 13 | 3 | 2 | 39:14 | 42 |
| ვერდერი | 18 | 10 | 4 | 4 | 36:29 | 34 |
| დორტმუნდი | 18 | 9 | 6 | 3 | 29:15 | 33 |
| შალკე | 18 | 8 | 7 | 3 | 23:15 | 31 |
| შტუტგარტი | 18 | 8 | 6 | 4 | 29:23 | 30 |
| მიუნხენი | 18 | 8 | 4 | 6 | 29:25 | 28 |
| ბოხუმი | 18 | 7 | 5 | 6 | 33:29 | 26 |
| ჰერტა | 18 | 7 | 5 | 6 | 21:20 | 26 |
| ჰამბურგი | 18 | 7 | 5 | 6 | 23:25 | 26 |
| არმინია | 18 | 6 | 5 | 7 | 23:26 | 23 |
| ვოლფსბურგი | 18 | 7 | 2 | 9 | 21:24 | 23 |
| ნიურნბერგი | 18 | 6 | 3 | 9 | 24:29 | 21 |
| ჰანზა | 18 | 5 | 5 | 8 | 21:24 | 20 |
| ლევერკუზენი | 18 | 5 | 5 | 8 | 24:30 | 20 |
| გლადბახი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:22 | [illegible] |
| ჰანოვერი | 18 | 4 | 5 | 9 | 24:35 | [illegible]7 |
| ლაუტერნი | 18 | 3 | 4 | 11 | 18:30 | 13 |
| კოტბუსი | 18 | 3 | 4 | 11 | 16:3[illegible] | 13 |

# ვის შეარჩევენ ივნისამდე ბარსელონას?






## გასპარმა ანტიჩი სადილზე და კონტრაქტზე დაპატიჟა

### გუშინ დილით ამბობდნენ

დააკვირდით: თუ „ატლეტიკოსთან“ შეხვედრის დროს, „ვისენტე კალდერონის“ ლოჟაში, „ბარსელონას“ პრეზიდენტის, ხუან გასპარის გვერდით რომანტიკოს არგენტინელ მწვრთნელს, ლუის სესარ მენოტის დაინახავთ, ჩათვალეთ, რომ კვირას ან ორშაბათს საagენტოები ახალ ცნობას გაავრცელებენ — მენოტიმ „ბარსას“ სათავეში ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი შეცვალა!

თუ ასე მოხდება, იცოდეთ, რომ კატალონიურ კლუბს და არგენტინელ მწვრთნელს შორის კონტრაქტი ან ივნისამდეა გაფორმებული და შიგ წერია, რომ „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგაში გაყვანის შემთხვევაში ისინი კიდევ ერთი წლით ითანამშრომლებენ, ან პირდაპირ ერთწლიანია.

ხომ გახსოვთ, რა თქვა მენოტიმ სულ ცოტა ხნის წინ, „ბარსას“ მწვრთნელობაზე რომ დაუწყეს ლაპარაკი? მან თქვა, მეხანძრე არ გახლავართ, კლუბში გაჭირვების დროს მივიდე, საქმეები ნაუცბათევად მოვაგვარო, ხანძარი ჩავაქრო და ჩემს გზას დავადგე, თუ მეძახიან, საფუძვლიანად დამიძახონო. როგორც ჩანს, მაინც დაითანხმეს მეხანძრეობაზე, მაგრამ, უეჭველად, საფუძვლიანი თანამშრომლობის ვარიანტზეც დაელაპარაკებოდნენ.

რა პლუსები აქვს მენოტის? ჯერ ერთი ის, რომ იგი კლუბს იცნობს. მართალია „კამპ ნოუზე“ ოცი წლის წინ მუშაობდა, მაგრამ მას მერე „ბარსელონასთან“ კავშირი არ გაუწყვეტია და მიაქციეთ ყურადღება, ამ ხნის მანძილზე ერთადერთი კაცი აღმოჩნდა, ვინც კატალონიელებმა თანამდებობიდან კი არ დაითხოვეს, თვითონ წავიდა. მერე, არგენტინაში ცხოვრების მიუხედავად, მენოტის, ამ სეზონში „ბარსას“ უკლებლივ ყველა თამაში უნახავს და შეუძლია მისი კრიზისიდან გამოყვანის შესახებ მთელი მწყობრი თეორია შემოგთავაზოთ. გარდა ამისა, მენოტი ამბობს, რომ საამისო ძალას გრძნობს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.




სერხი: მადრიდში ვარ და „ბარსელონაზე“ ვფიქრობ

### გუშინ დღისით ამბობდნენ

მორჩა! ჩათვალეთ, რომ „ბარსელონას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩი. ანტიჩი და ხუან გასპარი მადრიდში შეხვდნენ ერთმანეთს, ისაუბრეს, შემდეგ ისადილეს და მოილაპარაკეს, რომ ივნისამდე ითანამშრომლებენ, შემდეგ კი შეხედავენ: თუ „ბარსამ“ ჩემპიონთა თასი მოიგო ან ესპანეთის პირველობაზე ლიგაში გამსვლელი ადგილი მოიპოვა, კონტრაქტი გაგრძელდება.

რადომირ ანტიჩს ესპანეთში ჭიპი აქვს მოჭრილი, „რეალშიც“ უმუშავია, „ატლეტიკოშიც“ და — „ოვიედოშიც“. მის ხელში „ატლეტიკო“ 1996 წლის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც.

### გარდა ამისა ამბობდნენ

რომ განიხილებოდა ალბერტო ძაკერონის, ხოსე პეკერმანის, ბერნდტ შუსტერის, კარლეს რექსაჩის და რამდენიმე სხვა მწვრთნელის კანდიდატურებიც, რომლებიც ბატონ გასპარს არ მოეწონა. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა რექსაჩს თურმე ასე უთხრა, შენ ტექნიკური დირექტორი ხარ და ამიტომ ან მოედანზე ჩადი და გუნდი გაწრთვენი, ან ახალი მწვრთნელი შემარჩიეო.

### სერხი ამბობს

„ბარსელონას“ ყოფილი მარცხენა მცველი სერხი, რომელიც დღეს „ატლეტიკოს“ წევრია და „ვისენტე კალდერონზე“ თავისი სათაყვანებელი გუნდის წინააღმდეგ გავა (სერხი „ბარსელონაზე“ საუბრისას დღემდე ამბობს, ჩვენ, ამასთან იგი კლუბის წევრია), ამბობს, რომ სამწუხაროდ, „ბარსა“ ქვეყნის ჯამბაზად იქცა.

„გული მტკივა, რომ ჯამბაზებად ვიქეცით. ერთი მასხარაობა მეორეს სცვლის და მეტი არაფერი ხდება — აცხადებს სერხი და დასძენს — შედეგებზე მაღლა სტილი და იმიჯი დგას. სწორედ ამ სტილის გამო ვიყავით მსოფლიოს უძლიერესი კლუბი, თუმცა დღეს იმ „ბარსასგან“ აღარაფერი დარჩა, გუნდის სახეც სხვაა და პლუს მთელი წელიწადია არაფერი მოუგია. სიმშვიდეა საჭირო, დაძაბულ გარემოში ცხოვრება შეუძლებელია. „ბარსაში“ საუცხოო ფეხბურთელები თამაშობენ, გუნდი შესაძლებლობებს ვერ ავლენს. საუბარი იმაზე, რომ მოთამაშეებს მეტისმეტს სთხოვენ, არ შეიძლება. მოთხოვნას თუ ვერ უძლებ, სხვაგან უნდა თამაშობდე. კარგად ვიცი, რომ ამ გუნდის გასახდელში არავისთვისაა საიდუმლო, როგორ გაუმკლავდეს მოთხოვნას“.

სერხის შეახსენეს, რომ იგი მარცხენა მცველია, „ბარსა“ კი სწორედ მარცხენა მცველს ეძებს. (ამას გარდა კატალონიაში დაინტერესებულნი არიან ცენტრალური მცველითა და თავდამსხმელით).

„ჯობდა კოკო არ გაეშვათ. არც რივალდოს გაშვება შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს, მე დამიძახონ. მერწმუნეთ, მდგომარეობას თვითონ ფეხბურთელები თუ შეცვლიან“.

— ვისი ხელმძღვანელობით?

„ეს ჩემი საქმე არ არის. მე „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი ვარ და ცხოვრებაში მეორედ მინდა „ბარსელონამ“ რომ წააგოს“.

თუმცა, სერხის „ბარსელონაში“ ალბათ, აღარავინ დაუძახებს, რადგან „კამპ ნოუს“ დაცვის მარცხენა ფრთაზე ხუან პაბლო სორინი ითამაშებს, „იუვენტუსსა“ და „ლაციოში“ გამოცდილი კაცი, რომელიც თავის დროზე „არხენტინოს ხუნიორსში“ გამოჩნდა თუ არა, ტურინელებმა ჩასჭიდეს ხელი. ეს უთუოდ მისი ნიჭის დასტურია. სორინი არგენტინის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრია, ოღონდ, ერთი მინუსი აქვს — ამ სეზონში, „ლაციოს“ შემადგენლობაში უკვე ექვსჯერ ითამაშა უეფას თასზე, ანუ „ბარსას“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაეხმარება.

და სერხი? სერხიმ თქვა, ეს რა ცხოვრება დამიდგა, ფეხბურთს ადრე სულ TV-3-ზე ვუყურებდი, ახლა კი „ტელემადრიდს“ ვუზივარო.

„ისე კი, დღეს სიტუაციას სხვა თვალით ვუყურებ. დიდი ხანია მივეჩვიე იმას, რომ ბარსელონაში „რეალს“ ლანძღავენ და დასცინიან, ახლა ვხედავ, რომ მადრიდში „ბარსელონას“ უკეთებენ იგივეს“ — დასძენს სერხი, თუმცა, აღიარებს, რომ ფეხბურთს თუ თავს დავანებებთ, მადრიდში ცხოვრება მოსწონს:

„აქ კარგი ხალხია, ისინი ყველაფერს აკეთებენ. თავი შინ რომ იგრძნო“.

### კიდევ ამბობენ

კიდევ იმას ამბობენ, რომ „ბარსელონას“ დირექტორატში რამდენიმე გავლენიანი ადამიანი რადომირ ანტიჩს ვერ იტანს.

გუნდის ახალი მწვრთნელის დანიშვნა კი სწორედ დირექტორატის სიტყვაზე ჰკიდია.

**პაპუნა ძიდია**









გიო ახვლედიანის

## სვეტი

## რომანტიკა კამპ ნოუზე?

განადგურებული, არეულ-დარეული, შეშლილი, თეთრი დროშებით მორთული „ბარსელონა“ შორეული ბუენოს აირესიდან იწვევს ცოცხალ ლეგენდას, ფეხბურთის განუმეორებელ მოხუცს, ლუის სესარ მენოტის.

ეს მოულოდნელი გადაწყვეტილებაა, თუმცა, მენოტი თავიდანვე მოხვდა კატალონიის სიამაყის მესაჭეობის კანდიდატთა სიაში, მაგრამ ეს მოხვედრაც მოულოდნელობა იყო.

არა იმიტომ, რომ მენოტი დაბერდა, არამედ იმიტომ, რომ კარგა ხანია, რაც ფეხბურთის დონ კიხოტს ერთ ადგილას გული არ უდგება და დიდი-დიდი, ნახევარი სეზონით გაწვრთნას ხოლმე კლუბი.

მენოტი დეკემბრიდანაა უმუშევარი, მისი ბოლო კლუბი „როსარიო სენტრალი“ იყო, რომელმაც საუცხოოდ დაიწყო არგენტინის გამხსნელი ჩემპიონატი და ზედიზედ იგებდა თამაშებს, ისე, რომ ჩემპიონატის ლიდერიც კი იყო. მაგრამ მერე, „როსარიო“ ზედიზედ აგებდა თამაშებს და მენოტი გუნდიდან დაითხოვეს.

ბოლო ევროპული სამუშაო მენოტის გენუის „სამპდორიაში“ ჰქონდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს გუნდი სერია A-ში ყოფნას ებღაუჭებოდა და იქაურობაც მალე მიატოვა სიტყვებით: „ამათ უხარიათ, როცა დიდ გუნდთან ერთი ბურთის სხვაობით აგებენ. რა აზრი აქვს აქ მუშაობას?“

მენოტის მთავარ ჯილდოდ კვლავაც რჩება 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონობა, თუმცა, არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ამბავს არა აქვს მნიშვნელობა, როცა საქმე ამ მწვრთნელს ეხება. ოცი წლის წინათ ის ასევე ერთხანს იყო „ბარსელონას“ მწვრთნელი, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ამას აქვს მნიშვნელობა.

იმიტომ, რომ ლუის მენოტი სულაც არ არის უბრალოდ სახელგანთქმული მწვრთნელი.

ის ჩვენი დროის უაღრესად გამორჩეული ადამიანია, ისეთი, როგორებიც ცოტანი არიან და მალე ალბათ, საერთოდ აღარ იქნებიან. მენოტი უკანასკნელი დიდი რომანტიკოსი მწვრთნელია ფეხბურთში. ის არ იღებს თამაშს ისეთად, როგორიც ის არის, არამედ ისეთად, როგორიც უნდა იყოს. ამიტომ მისი შესაძლო დაბრუნება დიდ საფეხბურთო სარბიელზე, თავისთავად გამოიწვევს უამრავ პატარა ცვლილებას. დიდ ცვლილებებს კი მაშინ გამოიწვევს, თუკი მისი მწვრთნელობა წარმატებული იქნება.

ესპანეთის „ლა ლიგა“ ყველაზე დემოკრატიული ლიგაა ევროპაში, იქ მწვრთნელებს შემოქმედებას არავინ უშლის. ამ დემოკრატიულობის ფონზე მენოტის გამოჩენას კარგი ავანტიურიზმის სურნელი მოაქვს.

ჯერ კონტრაქტი არ შემდგარა და სალაპარაკოც ბევრია. თითქოს, მენოტის ეთქვას, რომ ხუთწლიანი ხელშეკრულება სწადია, ანუ ხანგრძლივი მუშაობა, ანუ წარუმატებლობის შემთხვევაში, დიდი კომპენსაცია. გასაგებიცაა, „ბარსელონას“ მესაჭეობა ისედაც ხომალდი-აჩრდილის კაპიტნობას ნიშნავს და ახლა ხომ მით უმეტეს.

თუ ხელშეკრულება შედგა და ის გრძელვადიანი იქნა, ხოლო კატალონია მოთმინებით აღიჭურვა, მაშინ დიდი ამბები გველის. თუ არა და, მენოტი იყო, არის და იქნება, ვინაიდან ის ერთადერთია და იდგება თუ არა „ბარსელონას“ სათავეში, ის მაინც იქნება ადამიანი, რომლისთვისაც მეტად პატარაა ფეხბურთის აკადემიკოსის, ან რამე ასეთის წოდება.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | შტუტგარტი-ჰერტა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 002 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.30 | 003 | არმინია-ბაიერნი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 18.30 | 004 | მიუნხენი-ჰანოვერი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 005 | ნიურნბერგი-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 006 | კოტბუსი-ბოხუმი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 007 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ჰამბურგი-ვერდერი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.30 | 009 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIX ტური

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | კარლსრუე-ბურგჰაუზენი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 18.00 | 014 | ალემანია-ფიურტი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.00 | 015 | ალენი-სტ.პაული | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.00 | 016 | ლიუბეკი-რეიტლინგენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 017 | უნიონი-ვალდჰოფი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |

3 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | ტრიერი-მაინცი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |

### ინგლისი.

### პრემიერლიგა. XXVI ტური

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 028 | არსენალი-ფულემი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 029 | არსენალი-ფულემი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 19.00 | 030 | ბოლტონი-ბირმინგემი | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 19.00 | 031 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 032 | ევერტონი-ლიდსი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 033 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 034 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 035 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 19.00 | 036 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

2 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 037 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 20.05 | 038 | ასტონ ვილა-ბლეკბერნი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |

### ინგლისი

### I დივიზიონი. XXX ტური

1 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 041 | ბრედფორდი-იფსვიჩი | 3,2 | 3,1 | 2,2 | 1,57 | 1,3 | 1,28 |
| 19.00 | 042 | ბერნლი-რედინგი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 043 | ქოვენტრი-უოტფორდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 044 | დერბი-როტერჰემი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 045 | ლესტერი-კრისტალ პალასი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 046 | მილუოლი-შეფილდი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 19.00 | 047 | ნორვიჩი-სტოკი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
ახლა „ლიდსის" მწვრთნელი ტერი ვენეიბლზია და გუნდი მე-13 ადგილზეა პრემიერლიგაში. ვენეიბლზს თითქოს ალმავალი, მაგრამ რთული მემკვიდრეობა ერგო და ჩანს, უფროსობაც დროს აძლევს ახალი გუნდის ასაშენებლად, მაგრამ შუა კვირაში ხმა გავრცელდა, რომ სულ მალე ვენეიბლზი გუნდიდან თავისით წავა.

გაზეთების ცნობით, მენეჯერს უთქვამს, რომ „ევერტონის" წინააღმდეგ კი გაიყვანს გუნდს, მაგრამ მერე რას იზამს, არ იცის.

სახელოვან მწვრთნელს არავინ აგდებს გუნდიდან, თუ ის „ლიდსიდან" წავა, მხოლოდ პირადი გადაწყვეტილებით, რადგან ძალიან ძნელია გაწვრთნა გუნდი, რომელსაც ყოველ კვირაში ვიღაც აკლდება, სანაცვლოდ კი არავინ მოდის.

ვენეიბლზი ვუდგეიტის გაყიდვის წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ კლუბის დირექტორატს მისი აზრი არად ჩაუგდია, ძალიან კარგ ფულს გვთავაზობენო.

ვენეიბლზის წასვლის შესახებ ლაპარაკიც ამის შემდეგ ამტყდარა, თუმცა, თავმჯდომარე რიდსდეილს უარყვია ეს ამბავი, ტელი (ვენეიბლზის მეტსახელია) ჩვენთან რჩებაო.

ამასობაში კი კლუბის ოფისთან და ბანკთან გულშემატკივართა მიტინგები იმართება და კლუბის ლეგენდა პიტერ ლორიმერი ხუმრობს: „კიდევ კარგი, სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, თორემ გუნდში, აღარავინ დარჩებოდა".

ასეა თუ ისე, შაბათს ვენეიბლზი „ევერტონის" წინააღმდეგ გაიყვანს გუნდს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ფინელმა** თავდამსხმელმა მიკაელ ფორსელმა ლონდონური „ჩელსი" დატოვა და ოთხი თვით, სეზონის ბოლომდე, ბუნდესლიგურ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" ითამაშებს. გერმანელებმა ფორსელი ინათხოვრეს და მუდმივად ძირითადში თამაშს შეჰპირდნენ. ფინელი ამბობს: „ჩინებულია. სათამაშო პრაქტიკა მექნება, „ჩელსიში" ივნისში დავბრუნდები და, ალბათ, კლაუდიო რანიერისაც მაშინ დავჭირდები." მიკაელ ფორსელის ხელში ჩაგდებას ვიგოს „სელტაც" ცდილობდა, თუმც გლადბახელები უფრო მარიფათიანები აღმოჩნდნენ.

ჰოლანდიურმა „როზენდალმა" მწვრთნელი კრის ლეკერი დაითხოვა. „როზენდალი" ჰოლანდიის 18-გუნდა ჩემპიონატში ოდენ მეთხუთმეტეა 16 ქულით. თავკაცს სწორედ ყოვლად უხეირო და უსუსური თამაშისთვის დაატოვებინეს გუნდი. ჰოლანდიის ჩემპიონატი ამ შაბათ-კვირას განახლდება, „როზენდალს" ახალი მწვრთნელი არ ჰყავს, გუნდს „პსვ ეინდჰოვენთან" მატჩში ლეკერის თანაშემწეები — კოოს ვასლანდერი და ჯეფრი კოისტრა დაიმძღვრავენ.

**მაროკოელი მცველი ტაჰარ ელ-ხალეჯი „საუთჰემპტონს" გაექცა და საბურთაოდ ლონდონში წავიდა. ელ-ხალეჯი „ჩარლტონ ატლეტიკში" გადავიდა. ალან კერბიშლის გუნდში მაროკოელი სეზონის ბოლომდე იქნება. 34 წლის ფეხბურთელს „საუთჰემპტონამდე" ლისაბონის „ბენფიკაში" უთამაშია, მაროკოს ეროვნულ გუნდში კი 65 კეპი მოიხვეჭა.**

ჩილელი ნახევარმცველი ხორხე აკუნია „უნივერსიდად კათოლიკადან" როტერდამის „ფეიენოორდში" გადავიდა. 24 წლის აკუნიამ კონტრაქტი 2006 წლის ივნისამდე მას შემდეგ გააფორმა, რაც მწვრთნელმა ბერტ ვან მარვეიკმა იგი ამხანაგურ მატჩებში გამოსცადა და მოიწონა. ხორხე აკუნიამ „ფეიენოორდის" ტრავმირებული კაპიტანი პოლ ბოსველტი უნდა შეცვალოს. იგი როტერდამელთა მეორე ჩილელი ფეხბურთელია — ერთი წლის წინ გადასულმა სებასტიან პარდომ შარშან უეფას თასიც მოიგო.

**კორეელი ნახევარმცველი ნამ-ილ კიმი „ფეიენოორდმა" თანაქალაქელ „ექსელსიორში" გაანათხოვრა. კიმმა განვლილ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის ნაკრებთან ერთად თავი კი დაგვამახსოვრა, მაგრამ როტერდამული კლუბის ძირითადში ფეხის მოკიდება ერთობ გაუჭირდა. ნამ-ილ კიმს „ფეიენოორდი" ივნისში დაიბრუნებს.**

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ედუარდომ ციურიხის „გრასჰოპერთან" ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 22 წლის ედუარდო „სანტა კატარინადან" შვეიცარიაში შარშან, თებერვალში გადაბარგდა და ერთწლიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. როგორც ჩანს, ფორვარდმა ციურიხელებს იმდენად მოაწონა თავი, „გრასჰოპერის" უფროსობამ კონტრაქტის განახლება თავად შესთავაზა.

**ინგლისური „ასტონ ვილას" ირლანდიელმა ვეტერანმა კაპიტნმა სტივ სტონტონმა კლუბთან ხელშეკრულება ერთი წლით გაახანგრძლივა. იგი ბირმინგემულ გუნდს 2004 წლის ივნისამდე უერთგულებს. „ასტონ ვილაში" თავს მშვენივრად ვგრძნობ. ყველაფერი მაკმაყოფილებს. კარიერასაც აქ დავასრულებ. გამიჭირდება, მაგრამ ფეხბურთის თამაშს ოდესღაც მაინც ხომ უნდა შევეშვა" — ამბობს ირლანდიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი სტივ სტონტონი.**

გერმანული „ლევერკუზენი" ტრავმირებული მცველის, იენს ნოვოტნის შემცვლელს ეძებს. „ფარმაცევტებმა" ერთდროულად იტალიური „ლაციო" და ფრანგული „ლიონი" შეაწუხეს. ან თქვენი პორტუგალიელი ფერნანდუ კოუტუ დაგვითმეთ, ანაც ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი ედმილსონიო. იტალიელებმაც და ფრანგებმაც გერმანელთა სურვილი უპასუხოდ დატოვეს. როგორც ჩანს, „ბაიერის" მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს ნოვოტნის შემცვლელის ძებნა სხვაგან მოუწევს.

**შოტლანდიური „სელტიკის" შვედი ფეხბურთელი იოჰან მიალბი დაშავდა და ბურთს კარგა ხანს ვერ გაეკარება. მიალბიმ ტრავმა „დანდი იუნაიტედთან" 2:0 მოგებულ მატჩში მიიღო. 31 წლის მცველი 2ᴼ-ე წუთზე ისე დაიმტვრა, რომ მოედნიდან ჯერ საკაცით გაიყვანეს, მერე კი საავადმყოფოში გააქანეს. „სამწუხაროა, მიალბი სულ ცოტა, ორი თვით დაგვაკლდება" — იუწყება „სელტიკის" ოფიციალური ვებ-გვერდი.**

იტალიურმა „რომამ" სეზონის ბოლომდე „კიევოს" ფორვარდი მასიმო მარაცინა გადაიბირა. მარაცინა ვერონული კლუბის მწვრთნელ ლუიჯი დელ ნერისთან იყო ნაჩხუბარი და გუნდის დატოვებაც სურდა. მასიმო მარაცინა მეორე ფეხბურთელია, ვინც ფაბიო კაპელომ, რომაელთა მწვრთნელმა ზამთრის სატრანსფერო სეზონში გადაიყვანა — შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ „რომამ" ინგლისური „ლიდსისგან" ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე დაკური ინათხოვრა.

**ესპანურმა მადრიდის „რეალმა" ახალგაზრდა მცველი რაულ ბრავო სათამაშოდ და გამოცდილების მისაღებად ინგლისში გაუშვა — ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე „ლიდს იუნაიტედში" იჯარის წესით იბურთავებს. „ელანდ როუდზე" 21 წლის ბრავომ „ნიუკასლში" ახლახან გადასული ჯონათან ვუდგეიტი უნდა შეცვალოს.**


## ესპანეთი

**თასის 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი**

**მურსია 4:3 დეპორტივო (0:1)**

0:1, 0:2 ტრისტანი (25, 30), 1:2 დ. კარანკა (35), 2:2 ხუანმა (47), 3:2 ტიტო (52), 3:3 მანუელ პაბლო (58), 4:3 ალბიოლი (84)

**ნახევარფინალის წილისყრა**

**დეპორტივო — მალიორკა**

**უელვა — ოსასუნა**

1 მატჩები გაიმართება 3 თებერვალს, საპასუხოები — 3 მარტს

**რეკლამა სარბიელ-ში**

**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსაქმოდ ყოფნას ბრეშა სჯობს

## მაცონემ გვარდიოლა დაიბრუნა

არის! თქვა „ბრეშას“ მხცოვანმა მწვრთნელმა კარლო მაცონემ და წადილი აისრულა, „რომადან“ ნახევარმცველი ხოსეპ გვარდიოლა 300 ათას ევროდ დაიბრუნა.

„ბარსელონას“ ყოფილი კაპიტანი ფაბიო კაპელომ სეზონის დაწყების წინ წაჰგვარა მაცონეს, აქაოდა, „რომას“ ისედაც ძლიერ შუა ხაზს უფრო გააძლიერებსო. გვარდიოლა სიხარულით მიიღეს და ხოტბისგან ცაში აიყვანეს რომაული კლუბის გულშემატკივრებმაც, მაგრამ...

დაიწყო სეზონი და სადებიუტო მატჩებში გვარდიოლა „რომას“ ძირითადში კი არა, მინდორზე საერთოდ არ გამოჩენილა. პეპს ტრავმა არ აწუხებდა, ის სრულიად ჯანმრთელი გახლდათ. მაშ, რა მოხდა? შავმა კატამ გადაირბინა მწვრთნელ-ფეხბურთელს შორის?

ჩვენ კი არა, დანამდვილებით იტალიაშიც არ იციან თურმე, მრავლისმნახველმა კაპელომ გამოცდილი ნახევარმცველი რატომ აითვალწუნა.

ჟურნალისტებმა სეზონის წინ „რომას“ სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა თავისებურად გააცხადეს, სადაც შუა ხაზში უმთავრესი როლი ხოსეპ გვარდიოლასა და დამიანო ტომაზის უნდა შეესრულებინათ, მაგრამ ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

კაპელო თურმე იცინოდა, იგი არც გვარდიოლას ენდო, არც ტომაზის და საყრდენი ნახევარმცველობა ბრაზილიელ ფრანსისკო ლიმას ჩააბარა.

ერთი სიტყვით, შორს არ იყო ის დღე კაპელოზე განაწყენებული გვარდიოლა „რომას“ რომ დაშორდებოდა. ასეც მოხდა.

გუშინ, ზამთრის სატრანსფერო სეზონის დახურვამდე, ხოსეპ გვარდიოლა „ბრეშაში“ დაბრუნდა. კარლო მაცონე, კმაყოფილი მწვრთნელი ამბობს: „ჯერ კიდევ მაშინ დამწყდა გული, „რომამ“ რომ წაიყვანა. პეპი ჩემი გუნდის ღერძი გახლდათ. მერე რომ ვნახე, რა ვითარებაშიც ჩავარდა, მისი სასწრაფოდ უკან დაბრუნება დავისახე მიზნად“.

მაცონეს თქმით, იგი ჯერ თავად გვარდიოლას შეეხმიანა რამდენჯერმე და როცა იგი „ბრეშაში“ დაბრუნებაზე ხალისიანად დაყაბულდა, კლუბის უფროსობაც შეაწუხა, ეგებ შევძლოთ და „რომადან“ მისი კონტრაქტი გამოვისყიდოთო.

კარლო მაცონე იტალიაში საკმაოდ დაფასებული კაცია. როგორც ჩანს, მის ჭაღარასაც სცეს პატივი და 70 წელს მიტანებული კარლიტო ძალიან გაახარეს.

**გიორგი გაზაძიძე**



ხოსეპ გვარდიოლასთვის „რომა“ და კაპელო გამოუცნობი დარჩა

# ტრანსფერების ბოლო დღე



ჯონათან ვუდგეიტს „ნიუკასლის“ მაისურა ბობი რობსონმა მოაზომა

*გუშინ საფეხბურთო ევროპაში ზამთრის სატრანსფერო სეზონი დაიხურა. ზაფხულამდე კლუბებიც მეტ-ნაკლებად საკუთრი გემოვნებით დაკომპლექტდნენ. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელთა გადასვლა-გადმოსვლა ძირითადად იჯარით, ნათხოვრობის წესით მოხდა. ზოგიერთებმა ფული არ დაინანეს და ფეხბურთელთა კონტრაქტებიც გამოისყიდეს. ერთი სიტყვით, ჩახედეთ ცხრილს და ევროპული კლუბების შენაძენები თავად შეაფასეთ*

| ფეხბურთელი | ამპლუა | კლუბიდან | კლუბში | ტრანსფერი |
|---|---|---|---|---|
| ტალალ ელ-კარკური | მცველი | პსჟ (საფრანგეთი) | სანდერლენდი (ინგლისი) | იჯარა |
| რაულ ბრავო | მცველი | რეალი (ესპანეთი) | ლიდსი (ინგლისი) | იჯარა |
| პიერ-ივ ანდრე | თავდამსხმელი | ნანტი (საფრანგიოთი) | ბოლტონი (ინგლისი) | იჯარა |
| რუფუს ბრევეტი | მცველი | ფულემი (ინგლისი) | ვესტ ჰემი (ინგლისი) | თავისუფალი აგენტი |
| ვრატისლავ გრეშკო | მცველი | პარმა (იტალია) | ბლექბერნი (ინგლისი) | იჯარა |
| დავორ ვუგრინეცი | თავდამსხმელი | ლეჩე (იტალია) | ატალანტა (იტალია) | ფასი უცნობია |
| ნდივა ლორდი | მცველი | იურგორდენი (შვედეთი) | ბოლტონი (ინგლისი) | იჯარა |
| დან ეგენი | მცველი | ალავესი (ესპანეთი) | რეინჯერსი (შოტლანდია) | იჯარა |
| კრისტიან მანფრედინი | ნახევარმცველი | ლაციო (იტალია) | ოსასუნა (ესპანეთი) | იჯარა |
| ნიკოლა ლაზეტიჩი | ნახევარმცველი | კიევო (იტალია) | ლაციო (იტალია) | იჯარა |
| კარლოს მარინელი | ნახევარმცველი | მიდლსბრო (ინგლისი) | ტორინო (იტალია) | იჯარა |
| ხოსეპ გვარდიოლა | ნახევარმცველი | რომა (იტალია) | ბრეშა (იტალია) | 300 ათასი ევრო |
| ნიკოლა ამორუზო | თავდამსხმელი | პერუჯა (იტალია) | კომო (იტალია) | თავისუფალი აგენტი |
| დევიდ პრატონი | ნახევარმცველი | ნოტინგემი (ინგლისი) | საუთჰემპტონი (ინგლისი) | 2.5 მილიონი გირვანქა |
| გიიომ ვარმუზი | მეკარე | ლანსი (საფრანგეთი) | არსენალი (ინგლისი) | იჯარა |
| ჯონათან ვუდგეიტი | მცველი | ლიდსი (ინგლისი) | ნიუკასლი (ინგლისი) | 9 მილიონი გირვანქა |
| რობი ფაულერი | თავდამსხმელი | ლიდსი (ინგლისი) | მანჩესტერ სიტი (ინგლისი) | 6 მილიონი გირვანქა |
| ხუან პაბლო სორინი | მცველი | ლაციო (იტალია) | ბარსელონა (ესპანეთი) | ფასი უცნობია |
| ტარიბო ვესტი | მცველი | უგუნდოდ | პარტიზანი (იუგოსლავია) | თავისუფალი აგენტი |
| სალვა ბალესტა | თავდამსხმელი | ვალენსია (ესპანეთი) | ბოლტონი (ინგლისი) | იჯარა |
| მორენო ტორიჩელი | მცველი | უგუნდოდ | ესპანიოლი (ესპანეთი) | თავისუფალი აგენტი |
| რობერტო გუანა | ნახევარმცველი | ბრეშა (იტალია) | კალიარი (იტალია) | იჯარა |
| ჯანლუკა გრასადონია | მცველი | კალიარი (იტალია) | კიევო (იტალია) | იჯარა |
| სანდრო კოისი | ნახევარმცველი | სამპდორია (იტალია) | პიაჩენცა (იტალია) | გაცვალეს |
| სალვატორე მიკელი | ნახევარმცველი | პიაჩენცა (იტალია) | სამპდორია (იტალია) | გაცვალეს |
| მარკო კარპარელი | თავდამსხმელი | ჯენოა (იტალია) | ემპოლი (იტალია) | იჯარა |
| კრის რიგოტი | მცველი | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | მიდლსბრო (ინგლისი) | იჯარა |
| მალკოლმ კრისტი | თავდამსხმელი | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | მიდლსბრო (ინგლისი) | იჯარა |
| მიკაელ ფორსელი | თავდამსხმელი | ჩელსი (ინგლისი) | მიონხენგლადბახი (გერმანია) | იჯარა |
| სერგეი რებროვი | თავდამსხმელი | ტოტენჰემი (ინგლისი) | ფენერბაჰჩე (თურქეთი) | ფასი უცნობია |
| იან დერეკ სორენსენი | თავდამსხმელი | დორტმუნდი (გერმანია) | ლინი (ნორვეგია) | თავისუფალი აგენტი |
| ივან ტომიჩი | ნახევარმცველი | რომა (იტალია) | ალავესი (ესპანეთი) | იჯარა |
| ლუის გარიდო | მცველი | ვალენსია (ესპანეთი) | კორდობა (ესპანეთი) | იჯარა |
| კრისი | მცველი | კრუზეირო (ბრაზილია) | ლევერკუზენი (გერმანია) | 3.2 მილიონი ევრო |
| რადოსლავ კალუჟნი | მცველი | კოტბუსი (გერმანია) | ლევერკუზენი (გერმანია) | ფასი უცნობია |
| ხავი გარსია | ნახევარმცველი | ვილიარეალი (ესპანეთი) | კორდობა (ესპანეთი) | იჯარა |
| ინაკი ბერუე | მცველი | ვილიარეალი (ესპანეთი) | კორდობა (ესპანეთი) | იჯარა |
| პაბლო იბანიესი | მცველი | ალბასეტე (ესპანეთი) | სელტა (ესპანეთი) | 1.8 მილიონი ევრო |
| ალფრედო არგენსო | მეკარე | ესპანიოლი (ესპანეთი) | ელჩე (ესპანეთი) | იჯარა |
| იაგო სანჩესი | მცველი | სელტა (ესპანეთი) | ოვიედო (ესპანეთი) | იჯარა |
| ფაბიო ჟუნიორი | თავდამსხმელი | რომა (იტალია) | გიმარაეში (პორტუგალია) | იჯარა |
| გეორგე პოპესკუ | მცველი | ჰანოვერი (გერმანია) | თამაში მიატოვა | |
| ნიკოლა ლასპალი | მცველი | ნანტი (საფრანგეთი) | ლეჩე (იტალია) | იჯარა |
| ფილიპ ბილი | მცველი | ლეჩე (იტალია) | ბასტია (საფრანგეთი) | იჯარა |
| კრისტოფ სანჩესი | ნახევარმცველი | ბორდო (საფრანგეთი) | ვენეცია (იტალია) | იჯარა |
| პეტერ მადსენი | თავდამსხმელი | ბრონდბიუ (დანია) | ვოლფსბურგი (გერმანია) | ფასი უცნობია |
| მარკო ბორიელო | თავდამსხმელი | მილანი (იტალია) | ემპოლი (იტალია) | იჯარა |
| ტიაგო | მცველი | ბოტაფოგო (ბრაზილია) | პერუჯა (იტალია) | ფასი უცნობია |
| ნიკოს მახლასი | თავდამსხმელი | აიაქსი (ჰოლანდია) | სევილია (ესპანეთი) | იჯარა |
| ემილიანო მორეტი | მცველი | იუვენტუსი (იტალია) | მოდენა (იტალია) | იჯარა |
| ჯუზეპე კარდონე | მცველი | პიაჩენცა (იტალია) | პარმა (იტალია) | იჯარა |
| ფრენკი ჰეიდუკი | მცველი | ლევერკუზენი (გერმანია) | სენტ გალენი (შვეიცარია) | თავისუფალი აგენტი |
| დავიდე ბაიოკო | ნახევარმცველი | იუვენტუსი (იტალია) | პიაჩენცა (იტალია) | იჯარა |

# ლიპარტელიანი ჯერ მწვრთნელს დანიშნავს, მერე სტეფანიას ამერიკაში ჩააკითხავს



## ფედერაციაში ცვლილებაა: პაატა გურასპაულის ნაცვლად თამაშობს მერაბ რატიშვილი

**ეროვნული** ნაკრებისთვის ახალი თავკაცის თემა კვლავ აქტუალურია. აქტუალური იყო შარშან იანვარშიც, როცა კალათბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი აცხადებდა, თებერვლის ბოლოს ნაკრებს ახალი თავკაცი ეყოლებაო. თებერვალიც გავიდა და თებერვალიც მოვიდა, მწვრთნელი კი ახლაღა დაინიშნება. დაგვიანების მიზეზებს ნულარ ჩავეძიებით, მთავარია, რომ 26 თებერვლისთვის საქართველოს ნაკრებს წინამძღოლი ეყოლება და თუ იგი მარიფათიანი გამოდგა, გასაკეთებელს ისედაც გააკეთებს. ორ ინკოგნიტო კანდიდატზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი უცხოელები არიან, დანარჩენის გაცხადებას ფედერალები მისი დანიშვნის შემდეგ დაგვპირდნენ. თუმც ყველაფერი ზემოთქმული ისედაც ვიცოდით, სიახლე კი აი, ესაა: კალათბურთის ფედერაციის გენერალურ, მდივნად პაატა გურასპაულის ნაცვლად ფედერაციისვე მუშაკი, უცხოეთთან და პრესასთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე მერაბ რატიშვილი იმუშავებს. ეს ამბავი გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გვამცნეს.

პაატა გურასპაული: ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტი დავტოვე, მაგრამ კალათბურთიდან არ მივდივარ, შეძლებისდაგვარად დავეხმარები ჩემს ძველ კოლეგებს. ამ ნაბიჯის გადადგმა იმიტომ გადავწყვიტე, რომ გენმდივნობა ყოველდღიურ შრომას მოითხოვდა. მე კი მიზეზთა გამო ვერ ვახერხებდი ყოველდღე ფედერაციაში მოსვლას. ვფიქრობ, მერაბ რატიშვილი ღირსეულად გაუძღვება ფედერაციის საქმეებს.

ამის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა საქართველოს ნაკრების პრობლემებსა და პერსპექტივებზე ისაუბრა:

— ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა ჩვენი უპირველესი ამოცანაა. მის ვინაობას 25-26 თებერვალს შეიტყობთ, როცა დარჩენილი ორი კანდიდატიდან საბოლოოდ ერთს შევარჩევთ. მათ გვთხოვეს, სანამ ყველაფერს წერტილი არ დაესმება, ჩვენი ვინაობა არ გააცხადოთო. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ერთი მათგანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნიდანაა, მეორე — ყოფილი იუგოსლავიიდან...

ნოემბრიდან ნაკრებს ევროპის 2005 წლის შესარჩევ ტურნირში უწევს ჩაბმა. ვფიქრობ, საკმარისი დრო გვაქვს მოსამზადებლად. ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ნაკრები ორკვირიან შეკრებას გაივლის ივნისში, რის შემდეგაც საბერძნეთში, საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ნაკრები ზაფხულშივე გაემგზავრება იტალიაში, სადაც ასევე საერთაშორისო ტურნირია დაგეგმილი. იტალიელებისგან უკვე მივიღეთ მოწვევა. ამ ტურნირის გარდა იტალიაში ჩვენი ნაკრები ამხანაგურ მატჩებსაც ითამაშებს შვედეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებთან...

ნაკრების კანდიდატები უპრობლემოდ ჩამოვლენ, რასაც ვერ ვიტყვი ვლადიმერ სტეფანიაზე. მას ბოლოს 3 თვის წინ ვესაუბრე და საბოლოო პასუხი ვერ მივიღე. როგორც ვიცი, ვოვას საქართველოში ბოლოს ჩამოსვლისას უსიამოვნებანი შეემთხვა და გასაგებიცაა მისი პოზიცია. თუ ხმა ვერ მივაწვდინეთ, პირადად ჩავალ ამერიკაში და სტეფანიას ნაკრებში ჩამოსვლაზე დავითანხმებ. მჯერა, რომ ის კვლავ ითამაშებს საქართველოს ნაკრებში... ამაში ფიბა-ს ახალი პროექტიც დაგვეხმარება, რომელიც ჯერ განხილვის სტადიაშია. მის თანახმად, ევროპის შესარჩევი ტურნირი იმ პერიოდში გაიმართება, როცა ნბა ისვენებს. ასე რომ, შესაძლოა, შესარჩევი ტურნირი ნოემბერში კი არა, უფრო გვიან დაიწყოს. ეს საკითხი საბოლოოდ ფიბას კონგრესზე, მარტში გადაწყდება, რომელსაც ჩვენი დელეგაციაც დაესწრება.

ბოლოს ფედერაციის ახალმა გენმდივანმა მერაბ რატიშვილმა ის ტრანსფერები გვამცნო, რომლებიც ქართულმა კლუბებმა ზამთრის არდადეგებზე განახორციელეს და რომლის შესახებაც „სარბიელის“ მკითხველმა უკვე იცის. სიახლე მხოლოდ ისაა, რომ ბათუმის „ბასკომ“ ამერიკელი გამთამაშებელი, ბოლოს ლიტვის „ატლეტასში“ მოთამაშე როლანდ ჯონსი შეიძინა.

*სიტყვა არ გატეხა ბათუმის „ბასკომ“ და გუშინ, ევროპაში სატრანსფერო სეზონის დახურვის ბოლო დღეს, ახალი ლეგიონერი შეიმატა. 31 წლისა და 191 სანტიმეტრი სიმაღლის ამერიკელი როლანდ ჯონსით ზღვისპირელებმა საბოლოოდ შეივსეს საამსეზონო განაცხადი*

## დალასის დაწუნებული ბასკომ აიყვანა

**შავკანიან** გამთამაშებელ ჯონსისთვის „ბასკო“ მეოთხე ევროპული გუნდია, აქამდე მას მეორე ბუნდესლიგის „დორტმუნდში“, ჩეხურ „ლეჩინსა“ და ლიტვურ „ატლეტასში“ უთამაშია. მის ოკეანგაღმურ კლუბებს კი თვლა არ აქვს — 1990 წლიდან მოყოლებული, ჯონსს უამრავ გუნდში უბურთავია სტუდენტურ თუ სხვადასხვა ამერიკულ საკალათბურთო ლიგებში.

ჯონსმა კოლეჯი 1996 წელს დაამთავრა, მაგრამ რაკი დრაფტში ვერ მოხვდა, მისი ნავსაყუდელი ხან ნბა-ს ჩრდილში მდგომი ABA-ს გუნდები იყვნენ, ხანაც სტუდენტური ლიგის ქვესამუალო კლუბები. ახალგაბასკოებულს საუკეთესო სეზონი ვენესუელურ ჩემპიონატში ჰქონია, სადაც „მაიტეროს დე ჯულიაში“ მატჩში საშუალოდ 19,3 ქულას, 5,1 პასსა და 4 მოხსნას იხვეჭდა.

ბოლო წლებში ჯონსი სისტემატიურად მონაწილეობდა ნბა-ს კლუბთა საზაფხულო კემპებში, მაგრამ „გოლდენ სტეიტს“, „დალასსა“ და „კლიპერსს“ თავი ვერ მოაწონა და ევროპაში წამოვიდა.

ბოლოს როლანდ ჯონსი ლიტვურ „ატლეტასში“ ირიცხებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩი ითამაშა — უფულობის გამო გუნდი დაიშალა. 20 იანვრიდან მოყოლებული ჯონსი მოსკოვურ „დინამოში“ ვარჯიშობდა, ღლესხვალ ის უკვე ბათუმში იქნება.

**ირაკლი ბერტაია**

# ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. XII ტური. 29-30 იანვარი**

# ფაჩულია თითმა მოტეხა ბოისამ წაიბოისა



ზაზა ფაჩულია დღეს თითის ოპერაციას იკეთებს

**პირველი** ჯგუფური ეტაპის დასრულებას ორი ტური უკლია და უკვე ცნობილია 16-დან 10 მომდევნოეტაპელის ვინაობა, რომელთა შორისაც, ჩვენდა გასახარად, სამივე „ქართული“ გუნდია. ის კი არა, შესაძლოა, ორმა მათგანმა ჯგუფშიც იმარჯვოს, რაც თითქმის მოახერხა მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმა“ — ტრევიზოელები არა მარტო A ჯგუფს, მთელ ევროლიგას ზემოდან დასცქერიან.

ეს ამბები კი გვახარებს, მაგრამ ჩვენებურთა პასიურობა გვაფიქრებს... ამ ტურში კვლავაც მხოლოდ ოლიმპიელი ვლადიმერ ბოისა გამოირჩა, დანარჩენები კი მოედანზეც არ გამოჩენილან. მარკოიშვილისა და ულქერელ ზაზა ფაჩულიას უთამაშებლობას აქამდეც შეჩვეულნი ვიყავით, თუმც ამჯერად ზაზა ბოლონიის „კინდერთან“ მატჩის 12-კაცა განაცხადშიც ვერ აღმოვაჩინეთ. მიზეზზე თავად ფაჩულია გვიამბობს: „ულქერს“ იტალიაში ვახლდი და ალბათ ვითამაშებდი კიდეც, მაგრამ მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე მარცხენა ხელის ნეკათითი მოვიტეხე. ხვალ ოპერაციას ვიკეთებ. თითში მეტალს ჩამისვამენ და სულ ცოტა, ერთი თვე ვერ ვივარჯიშებ. ახლა ისეთი ტკივილები მაქვს, ღამე ვერ ვიძინებ".

„ულქერმა“ იოლად სძლია ევროლიგის შარშანდელ ფინალისტ „კინდერს“, რომელიც ჯერაც ჯგუფიდან გასვლაზე ოცნებობს, თუმც, ეტყობა, აისრულებს საწადელს. ამ მოგებით „ულქერმა“ C ჯგუფში მეორეობა გაინაღდა. დარჩენილ ორ ტურში რაც უნდა მოხდეს, სტამბოლელები მოსკოვის ცსკა-ს ზურგსუკან დაასრულებენ პირველ ეტაპს.

ტურის მთავარ მატჩს ტრევიზომ უმასპინძლა, სადაც „ბენეტონმა“ დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია — ვარსკვლავებიანი „ბარსელონა“ დასცა. სასწორზე ჯგუფის პირველობა იდო. ამიტომაც ტრევიზოელთა თავკაცმა ეტორე მესინამ არ გარისკა და დაუღვინებელი მარკოიშვილი მოედანზე არ გაიყვანა. თუ ჩვენებურის უთამაშებლობას ისედაც ველოდით, „ბარსელონას“ შერცხვენა საარაკო ამბავია. „ბენეტონმა“ ჩემპიონური პირველი ტაიმი ითამაშა. არადა, „ბარსელონაში“ კონტინენტის რჩეულნი თამაშობდნენ. ბოდიროგა, ფუჩკა, ნავარო, იასიკევიჩუსი, დუენიასი — ეს ვარსკვლავა ხუთეული მეხუთე წუთისთვის უკვე 6:21 აგებდა და იმტაზე მოსულ ტრევიზოელებს თამაშის ბოლომდეც ვერაფერი მოუხერხა. ახლა სასწაული უნდა მოხდეს, რომ კატალონიელებმა „ბენეტონს“ პირველობა წაართვან.

პირველობისთვის იბრძვის ბოისას „ოლიმპიაც“, რომელმაც მომდევნო ეტაპის საგზური წინა ტურში დაიბევა და ამჯერად დამშვიდებული ეწვია შფოთიან ისრაელს. შარშანდელი გათამაშების ოთხთა ფინალისტ „მაკაბის“ კი ცუდი დროება უდგას. თელავიველთა ჯგუფიდან გასვლა ჯერაც საეჭვოა და ლიუბლიანელებთან შეხვედრაში ფეხის გადაბრუნება მათთვის ეგებ დამღუპველიც გამომდგარიყო... ხისტი თამაში გაჩაღდა. მთელი შეხვედრა მეტოქეობა თანაბრად მიდიოდა მიდიოდა და მხოლოდ ბოლოსღა გატეხა „მაკაბიმ“ ოლიმპიელები. ისრაელელები ნიკოლა ვუიჩიჩს უნდა უმადლოდნენ, „მაკაბიმ“ ეს მატჩი რომ მოიგო.

ტრავმამოშუშებულმა ბოისამ ჩვეულად, კარგად ითამაშა და ოლიმპიელთაგან ქულათა მონაგარით მხოლოდ გორან იურაკს ჩამორჩა. 26 წუთში ვოვამ 12 ქულას 5 მოხსნაც დაურთო, მისი „ოლიმპია“ კი პირველიდან მესამე ადგილზე ჩავარდა B ჯგუფში.

**ირაკლი სახერიძე**



მარკუს ბრაუნმა (ბურთით) სკიპერელები გვარიანად გააწვალა

### A ჯგუფი

**პო ორტეზი 86:84 აეკ**
პო ორტეზი: მ. პიეტრუსი (15), ფატო (13)
აეკ: ბეტსი (25), დიკუდისი (19)

**ეფესი 75:57 სკიპერი**
ეფესი: ბრაუნი (22), ილმაზი (20)
სკიპერი: გალანდა (11), ბაზილე (10)

**ბენეტონი 94:82 ბარსელონა**
ბენეტონი: ნიკოლა (17), ლანგდონი (15), გარბახოსა (15)
ბარსელონა: იასიკევიჩუსი (20), ვარეხაო (17), ნავარო (16)

**ციბონა 90:72 ალბა**
ციბონა: მანსე (20), პლანინიჩი (17)
ალბა: ლოლისი (21), პეშიჩი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 12 | 10 | 2 | +139 | 22 |
| ბარსელონა | 12 | 9 | 3 | +53 | 21 |
| ეფესი | 12 | 7 | 5 | +59 | 19 |
| სკიპერი | 12 | 7 | 5 | -3 | 19 |
| ციბონა | 12 | 6 | 6 | -36 | 18 |
| პო ორტეზი | 12 | 4 | 8 | -65 | 16 |
| ალბა | 12 | 4 | 8 | -79 | 16 |
| აეკ | 12 | 1 | 11 | -68 | 13 |

### B ჯგუფი

**სიენა 73:79 უნიკახა**
სიენა: სტეფანოვი (21), ფორდი (19)
უნიკახა: ბალოკი (24), ოკულაია (15)

**პანათინაიკოსი 86:83 ტაუ**
პანათინაიკოსი: ფოცისი (19), მაკდონალდი (14)
ტაუ: ნოჩიონი (22), ფორესტი (19)

**ჟალგირისი 101:85 ბუდუჩნოსტი**
ჟალგირისი: ბირდი (20), კოტა (18)
ბუდუჩნოსტი: მილოევიჩი (20), ბაკიჩი (14)

**მაკაბი 69:60 ოლიმპია**
მაკაბი: ვუიჩიჩი (18), ლუისი (11)
ოლიმპია: იურაკი (13), ბოისა (26 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 12 | 9 | 3 | +56 | 21 |
| ტაო | 12 | 8 | 4 | +41 | 20 |
| ოლიმპია | 12 | 8 | 4 | +53 | 20 |
| უნიკახა | 12 | 7 | 5 | +24 | 19 |
| მაკაბი | 12 | 5 | 7 | +34 | 17 |
| სიენა | 12 | 5 | 7 | -21 | 17 |
| ჟალგირისი | 12 | 4 | 8 | -70 | 16 |
| ბუდუჩნოსტი | 12 | 2 | 10 | -117 | 14 |

### C ჯგუფი

**რეალი 80:93 ცსკა**
რეალი: ალსტონი (18), ვიქტორიანო (18)
ცსკა: ჰოლდენი (29), ალექსანდერი (19), სონგაილა (15)

**შლიონსკი 83:74 პარტიზანი**
შლიონსკი: გედრაიტისი (22), კოლსონი (16)
პარტიზანი: ვუიანიჩი (25), ჰაუსი (15)

**ვილერბანი 85:74 ოლიმპიაკოსი**
ვილერბანი: მრაზეკი (20), სმიტი (16)
ოლიმპიაკოსი: ევანსი (19), ტომიჩი (15)

**კინდერი 68:88 ულქერი**
კინდერი: კოტუროვიჩი (18), მარდოკი (15)
ულქერი: ერდენაი (18), ბლერი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 10 | 2 | +118 | 22 |
| ულქერი | 12 | 8 | 4 | +38 | 20 |
| კინდერი | 12 | 6 | 6 | +2 | 18 |
| რეალი | 12 | 6 | 6 | -8 | 18 |
| ოლიმპიაკოსი | 12 | 5 | 7 | +18 | 17 |
| შლიონსკი | 12 | 5 | 7 | -66 | 17 |
| ვილერბანი | 12 | 4 | 8 | -33 | 16 |
| პარტიზანი | 12 | 4 | 8 | -69 | 16 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ეს ტეხასია!
## ბევრს ილაპარაკებთ, ბევრს გესვრით




დირკ ნოვიცკიმ „მინესოტას" უტენა და უტენა

30 იანვარი

**დალასი 112:109 მინესოტა**

**დალასი:** ნოვიცკი (32 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (25), ფინლი (17)

**მინესოტა:** გარნეტი (31 ქულა, 17 მოხსნა, 8 პასი), ჰადსონი (31), სმიტი (18)

**მილუოკი 97:90 ვაშინგტონი**

**მილუოკი:** კასელი (31), ტომასი (17), ალენი (16)

**ვაშინგტონი:** ჯორდანი (28), ბრაუნი (20)

**სიეტლი 77:95 საკრამენტო**

**სიეტლი:** ლუისი (25)

**საკრამენტო:** თურქოღლუ (22), ჯექსონი (21), სტოიაკოვიჩი (17)

ზღაპარ თამაშს უმასპინძლა დალასმა. ტეხასის გულში და ლიგის საყოველთაო ცხრილის ჭერზე დასახლებული „მავერიკსი" მუდამ კბილალესილ მინესოტელ „მგლებს" დაუხვდა და საკუთარი ძლიერება მათთან ხელჩართულ ბრძოლაში ერთხელაც გამოსცადა.

„ბევრი გვიკიჟინებს პრინციპულ თამაშებში მერყეობას და ზოგიერთ წაგებულ თამაშს მალიმალ გვახსენებს. ჩვენ რობოტები არა ვართ და ხანდახან ვაგებთ კიდეც, მაგრამ მათ, ვინც ჩვენს ნაკლოვანებებს ქექავს, ვურჩევ ცხრილს ჩახედოს. ჩვენ ყველაზე ნაკლები წაგვიგია და მთელ ლიგაში ყველას ვჯობნით საშუალო შედეგიანობით იქნებ ისიც გათხრას ვინმემ, „მინესოტასთან" შეხვედრა პრინციპული არ იყოო. ამის მთქმელი შეპასუხების ღირსად არ მიმაჩნია. „მინესოტასთან" მოვიგეთ და კიდევ ბევრ მსგავს თამაშში გავიმარჯვებთ. მეტს არაფერს ვიტყვი, ჩვენს მაგივრად ჩვენმა შედეგებმა იმეტყველონ" — „დალასის" გერმანელი ლიდერი დირკ ნოვიცკი ენად გაიკრიფა „მინესოტას" ძლევის შემდეგ. მას და მისიანებს გული მოსვლიათ მავან საკალათბურთო მიმომხილველებზე, რომელთაც „დალასისთვის" რბილი გუნდი უწოდებიათ და მისთვის პლეი ოფის რომელიმე შუა ეტაპზე ჩარჩენა უწინასწარმეტყველებიათ. დალასელებს, ნბაში სადღეისოდ საუკეთესოებს, ამაზე ბრაზი მოსვლიათ. ყველაზე მეტად ნოვიცკი ლაიბოლმა, ნამატჩევს მოკრიტიკეთა შეპასუხების ყველაზე მეტი მორალური უფლებაც მას ჰქონდა, რაკი გერმანელმა პირადად გადაწყვიტა მატჩის ბედი.

„მინესოტა" კარგ ფორმაშია და „დალასს" მეორე ტაიმში მღევრად ამყოფებდა. გამარჯვება კევინ გარნეტისა და მისიანების დარჩებოდა, ნოვიცკის გერმანული სულის სიმტკიცე რომ არ გამოემჟღავნებინა. დირკმა 104:99 წინგაჭრილ „მგლებს" ჯერ სამქულიანი ჩაუგდო, შემდეგ კი ორიანი — ნეშის პასი ჰაერში დაიჭირა და ხმაურით ჩატენა მეტოქის კალათში, ანგარიში გათანაბრდა 104:104. მოგვიანებით ნოვიცკიმ პირად ოპონენტ გარნეტს ბურთი მოსტაცა და პასი ნეშს გადააწოდა, კიდევ რამდენიმე წამში თავადაც ჩააგდო და „დალასმა" გამარჯვება დაიბევა.

არანაკლებ დაძაბული შეჯახება მოხდა მილუოკიში, იქაურ „ბაქსსა" და „ვაშინგტონ ვიზარდსს" შორის. გამარჯვება ამ ორივეს სჭირდება და დათმობას არავინ აპირებდა. საბოლოოდ სემ კასელის „მილუოკიმ" დასცა დედაქალაქელები, რომელთაც 24 ქულა შეაწია მაიკლ ჯორდანმა, თუმც ამაოდ. „ბევრი თვლის, რომ მაიკლი დაბერდა და თავს იტანჯავს. ნურას უკაცრავად, ის სხვებს უფრო სტანჯავს. ჯორდანი ამ ლიგის ჯერაც ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა" — კასელმა არ დაივიწყა დიდი მეტოქის შექება.

**ირაკლი ფირცხალავა**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 31 | 14 | 69,8 |
| ბოსტონი | 26 | 19 | 57,8 |
| ფილადელფია | 24 | 22 | 52,2 |
| ორლანდო | 24 | 23 | 51,1 |
| ვაშინგტონი | 22 | 25 | 46,8 |
| ნიუ იორკი | 19 | 25 | 43,2 |
| მაიამი | 16 | 29 | 35,6 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 33 | 13 | 71,7 |
| დეტროიტი | 29 | 15 | 65,9 |
| ნიუ ორლეანი | 24 | 22 | 52,2 |
| მილუოკი | 23 | 22 | 51,1 |
| ჩიკაგო | 17 | 28 | 37,8 |
| ატლანტა | 17 | 29 | 37,0 |
| ტორონტო | 11 | 34 | 24,4 |
| კლივლენდი | 9 | 37 | 19,6 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 36 | 9 | 80,0 |
| სან ანტონიო | 29 | 16 | 64,4 |
| იუტა | 27 | 18 | 60,0 |
| მინესოტა | 27 | 19 | 58,7 |
| ჰიუსტონი | 24 | 20 | 54,5 |
| მემფისი | 13 | 31 | 29,5 |
| დენვერი | 10 | 35 | 22,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 33 | 14 | 70,2 |
| პორტლენდი | 28 | 16 | 63,6 |
| ფინიქსი | 26 | 21 | 55,3 |
| ლეიკერსი | 20 | 23 | 46,5 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 24 | 45,5 |
| სიეტლი | 20 | 24 | 45,5 |
| კლიპერსი | 17 | 28 | 37,8 |






# იჯექი, შვილო!
## ზრდილობიანმა ბიჭუნამ მოხუცს ადგილი დაუთმო

**არავინ გაოცებულა**, როცა გულშემატკივართა საოლსტარო გამოკითხვამ, აღმოსავლეთ ვარსკვლავთა დამწყებ ხუთეულში ადგილი არ შეახვედრა მაიკლ ჯორდანს. მაიკლი ჯერაც ვარსკვლავია და, ცხადია, იმსახურებს ნბა-ს კამკამთა შორის ყოფნას, მაგრამ ის საკმაოდ მოხუცდა და გაიცრიცა იმისთვის, რომ ხუთეულში მოეხვედრებინათ.

ხუთეულში მეტ-ნაკლებად მისი ამპლუის მოთამაშეთაგან მოხვდნენ თანამედროვე ნბა-ს მზეები — ალენ აივერსონი, ტრეისი მაკგრეიდი და ვინს კარტერი. ჯორდანს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება, პირიქით, მან თავაზიანი უარიც კი უთხრა მაკგრეიდის, როცა ამ ყოყლოჩინა ორლანდოელმა ხუთეულში საკუთარი ადგილი დაუთმო.

„მაიკლი უდიდესი კალათბურთელია, მე გავიზარდე მის ცქერაში. ის ყოველთვის ხუთეულში თამაშობდა, ყველა ხუთეულელზე მაგარიც იყო და ახლა სათადარიგოებშია. მე თავი ვალდებულად ჩავთვალე, ჩემი ადგილი დამეთმო მისთვის" — თქვა მაკგრეიდიმ.

როგორც მოგახსენეთ, მაიკლმა მას თავაზიანი უარი უთხრა „მადლობა ტრეისის ამ უდიდესი ტაქტისთვის. ის ნამდვილი ვარსკვლავია, მოიქცა ისე, როგორც მე მოვიქცეოდი ახალგაზრდობაში. მე სიამოვნებით დავუთმობდი საკუთარ ადგილს ჯულიუს ირვინგს და დარწმუნებული ვარ, „დოქტორ ჯეიც" ჯეელბაში მსგავს თავაზიანობას გამოიჩენდა ვინმეს მიმართ" — თქვა ჯორდანმა.

ამასობაში კი გაირკვა ტრავმირებული კრის ვებერის შემცვლელი. საკრამენტოელ სუპერფორვარდს დასავლეთის ვარსკვლავთ გუნდში ჩაენაცვლება მისივე თანაგუნდელი იუგოსლაველი პრედრაგ სტოიაკოვიჩი, ასე ინება ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა. ასეა, ოლსტარკრებულთა სასტარტო ხუთეულებს ხალხი ირჩევს. დანარჩენ მონაწილეებს მწვრთნელები ავლენენ, საბოლოო სიტყვა კი მამასახლის შტერნისაა, ვინმეს დაშავების შემთხვევაში ის ასახელებს შემცვლელს. პეჯასთვის ეს „ოლ სტარი" ზედიზედ მეორე იქნება.

**კოტე ყორღანა**



Andebol Portugal'2003

მსოფლიოს ჩემპიონატი

პორტუგალია, 20 იანვარი - 2 თებერვალი



ესპანელთა წაუგებლობაში ტალანტ დუშებაევის ხელიც ურევია

# ტალანტ!
## ესპანელმა დუშებაევმა ისლანდიელ ერაძეს ხელი არ დააკლო

**საპლეიოფო** თამაშების წინ, ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში, დაძაბული ბრძოლა კი გაჩაღდა, მაგრამ სენსაციური არაფერი მომხდარა და სამედლო ჭიდილს მართლაც საუკეთესო ოთხეული აგრძელებს.

მეტად ემოციური გამოდგა ესპანეთ — ისლანდიის მატჩი. პირინეელები ფავორიტებად ითვლებოდნენ და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 32:31, მაგრამ ყოფილი ჩვენი თანამემამულის როლანდ ერაძისა და მისი ახალი გუნდელებისგან ამგვარ მედგარ წინააღმდეგობას ცოტა თუ ივარაუდებდა. საყაიმო პირველი ტაიმის (18:18) შემდეგაც თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა და მხოლოდ მატჩის მიწურულს იძლიეს ესპანელებმა, რომელთა ნაკრებიც ჩემპიონატის 24 მონაწილიდან ერთადერთია, რომელმაც პორტუგალიაში შვიდივე თამაშის მოგება შეძლო. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო 34 წლის ექსსაბჭოელი ტალანტ დუშებაევი (7 გოლი), ისლანდიელთაგან კი ოლაფურ სტეფანსონი (8) გამოირჩა.

მსგავსი სცენარით წარიმართა გერმანია — იუგოსლავიის დაპირისპირებაც იქაც ბოლო წამებამდე იყო თანაბარი თამაში. საბოლოოდ მეტოქეები ანგარიშის მიხედვით მშვიდობიანად კი გაიყარნენ — 31:31, მაგრამ ეს ფრე იუგებისთვის კატასტროფის ტოლფასი გახდა, რადგან საპრიზო სამეულის ნაცვლად ახლა მხოლოდ მეხუთე ადგილისთვისღა იბრძოლებენ.

ჩახლართული ვითარება იყო მესამე და მეოთხე ჯგუფებში — ნახევარფინალში გასვლის შანსს სამ-სამი გუნდი ინარჩუნებდა. ოლიმპიურ ჩემპიონ რუსებს ზედიზედ მეორე მატჩის მოგებით, ამჯერად ეგვიპტესთან — 29:22, ჯგუფში პირველობის იმედი კი გაუჩნდათ, მაგრამ მათი ბედი დანიელთა ხელში იყო, რადგან მხოლოდ მათი გამარჯვების შემთხვევაში მიაღწევდნენ საწადელს.

იმედი იმედად დარჩა — პორტუგალიაში ალმაფრენით მოთამაშე ხორვატმა ხელბურთელებმა დანიელებს იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს — 33:27.

მსოფლიოს ექსჩემპიონ შვედებს მოქმედ ჩემპიონ ფრანგებთან შეხვედრაში მხოლოდ მოგება გაუხსნიდა გზას მედლებისკენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ უტიტული უნგრელები სლოვენიელებს გაამწარებდნენ. მადიარებმა გმირულად იბრძოლეს. ცხადია, საკუთარი და არა სკანდინაველთა ტყავის გადასარჩენად და ორი წაგებით დაწყებული ჯგუფური ეტაპი სენსაციური გამარჯვებით დაავირგვინეს — 28:25. შვედები კი ბრწყინვალე პირველი ტაიმის (15:11) შემდეგ სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ, მეორე პერიოდი ათი ბურთით წააგეს, მთელი მატჩი კი 24:30 და ბოლო ექვსი პოდიუმიანი ჩემპიონატის შემდეგ სულაც ათეულის მიღმა აღმოჩნდნენ.

დღეს ნახევარფინალური შეხვედრებია: საფრანგეთი — გერმანია და ესპანეთი — ხორვატია, ხოლო ისლანდიელებს უმძიმესი სამეხუთეადგილო ბრძოლა ელით რუსეთთან. მსოფლიოს მე-18 ჩემპიონატის ტრიუმფატორის ვინაობას კი ხვალ შევიტყობთ.

**გია ახალაძე**



გერმანელი ფლორიან კერმანი იუგოსლაველებს უტევს

**მეორე ჯგუფური ეტაპი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **I ჯგუფი** | | | | | |
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 106:71 | 6 |
| ისლანდია | 2 | 0 | 1 | 106:83 | 4 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 2 | 89:93 | 2 |
| ყატარი | 0 | 0 | 3 | 63:117 | 0 |
| **II ჯგუფი** | | | | | |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 98:81 | 5 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 0 | 89:86 | 5 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 2 | 84:93 | 2 |
| ტუნისი | 0 | 0 | 3 | 74:85 | 0 |
| **III ჯგუფი** | | | | | |
| ხორვატია | 3 | 0 | 0 | 90:76 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 90:78 | 4 |
| დანია | 1 | 0 | 2 | 90:96 | 2 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 3 | 71:93 | 0 |
| **IV ჯგუფი** | | | | | |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 0 | 90:70 | 6 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 2 | 84:87 | 2 |
| სლოვენია | 1 | 0 | 2 | 76:84 | 2 |
| შვედეთი | 1 | 0 | 2 | 82:91 | 2 |

ძიუდო

# დღეს და ხვალ კარგი ძიუდოა
## თბილისი თბილისს ემსგავსება

**დღეს და ხვალ** სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ეს ტურნირი, ერთ დროს ძალიან პრესტიჟული, ბოლო წლების აწეწილმა ცხოვრებამ გააუფერულა, მაგრამ წლეულს ორგანიზატორებმა ყველა ღონე იხმარეს და შეჯიბრს სოლიდური სახე შესძინეს. ძიუდოს ევროპის ფედერაციამ შეჯიბრს ოლიმპიადის სალიცენზიო სტატუსიც მიანიჭა. თუ წლევანდელი შეჯიბრი ჩაბულბულდა, მაშინ საგაისოდ იგი სუპერტურნირის სტატუსსაც მიიღებს, ასე შემოთვალეს ევროძიუდოს მამებმა.

სპორტის სასახლე ყოველმხრივ მზადაა ორდღიანი შეჯიბრის სამასპინძლოდ. შუქის პრობლემა მოგვარებულია, ისევე როგორც გათბობის — დარბაზში უზარმაზარი ელექტროღუმელებია დამონტაჟებული. სხვა საორგანიზაციო საკითხებიც გადაწყდა, ასე რომ, სტუმარ-მასპინძელს ჭიდაობის გარდა საფიქრალი არაფერი აქვს.

თბილისში 10 ქვეყნის ნაკრები ჩამოვიდა: საფრანგეთი, იაპონია, რუსეთი, უკრაინა, ისრაელი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი და მოლდოვა.

ძიუდოს გრანდებს, საფრანგეთისა და იაპონიის ნაკრებებს უძლიერესები არ ეთქმით, თუმც ვინც ჩამოიყვანეს, უმეტესობა გამოცდილია და სხვადასხვა რანგის ტურნირების პრიზიორები არიან.

ჩვენები 28 ფალავნით მონაწილეობენ. შვიდივე წონით კატეგორიაში ოთხოთხი ძიუდოისტია. ნაკრების მწვრთნელ შოთა ხაბარელის თქმით, მისი შეგირდები ბლომად მედლებს მოიპოვებენ, მით უმეტეს, რომ შინაურ ხალიჩაზე ჭიდაობენ. ხაბარელმა უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი ერთი გამონაკლისის გარდა — ვერ იჭიდავებს ივერი ჯიქურაული (100 კგ), რომელიც მოსკოვის ტურნირზე დაშავდა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია: 60კგ: ნესტორ ხერგიანი, ლაშა სარდანაშვილი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, აკაკი ხანიშვილი. 66კგ: გიორგი რევაზიშვილი, დავით მარგოშვილი, ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომოზური. 73 კგ: დავით ქევხიშვილი, დავით ნადარაია, დავით ბოდაველი, ლევან სულხანიშვილი. 81 კგ: გრიგოლ მამრიკიშვილი, მორის თადუმაძე, გიორგი შინჯიკაშვილი, ლევან წიკლაური. 90 კგ: ზურაბ ზვიადაური, მინდია ბოდაველი, ზაზა მურაჩაშვილი, გელა ბეჭვაია. 100 კგ: გიორგი გუგავა, გიორგი ყიზილაშვილი, მიხეილ ტურაშვილი, ლაშა ფეიქრიშვილი. მძიმე: ალექსი დავითაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, დურმიშხან ბერუაშვილი.

ნაკრებში ერთი დებიუტანტია — 20 წლის მძიმეწონოსანი ზვიად ხანჯალიაშვილი. ამ 205-სანტიმეტრიანმა და 140-კილოგრამიანმა გოლიათმა წლეულს ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი მოიგო და ნაკრების კარიც შეაღო.

დღეს სამ წონით კატეგორიაში 60, 66 და 73 კილოგრამიანების ბრძოლებია. შეჯიბრი 12 საათზე დაიწყება, ფინალური ბრძოლები კი 5 საათზე. ასეთივე განრიგია ხვალ.

სპორტის სასახლეში შესვლა უფასოა.

**ბაჩო სვანიძე**



ჩოგბურთი

# ამერიკული მდედრსანტი ტოკიოში
## რაზე ფიქრობს 19 წლის სერბი გოგო?



იონას ბიორკმანი

**მილანის ჭერქვეშა პირველობა**
**ხალიჩა. საპრიზო 380 ათასი ევრო**

**მეორე წრე**

**ჟულიენ ვარლე (საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (4, ბელგია) 2:6, 7:5, 7:6 (8:6); ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 6:4, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:2, 6:1; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:7 (3:7), 7:6 (8:6), 6:4; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 1:6, 6:3, 7:6 (10:8)**

დღის მთავარ მოვლენად 25 წლის უსახელო ფრანგის, ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრილი ჟულიენ ვარლეს მიერ მეოთხე ნომრად განთესილი ბელგიელის, ქსავიე მალისის ძლევა იქცა.

ვარლემ, ვინაც პატარა ბიჭობაში ფეხბურთს თამაშობდა და ჩოგანი ხელში მხოლოდ 10 წლისამ დაიკავა, უიმბლდონის შარშანდელ ნახევარფინალისტს პირველი სეტი უბრძოლველად დაუთმო, მაგრამ მომდევნოებში ფიცხლად ერკინა და კარიერის პირველ მეოთხედფინალში გავიდა.

„ცენტრალურ კორტზე არასოდეს მითამაშია — ამბობდა მერე — ამიტომაც თავიდან მაგრად ვინერვიულე. მხოლოდ მაშინ დავწყნარდი, როცა პირველი სეტი დამთავრდა და მივხვდი, სანერვიულო არაფერი იყო... ყოველი ქულისთვის კაცურად ვიომე, მაშინაც არ შევმდრკალვარ, როცა მალისი მესამე სეტში 5:4-ზე აწოდებდა და ერთ მომენტში ორი მატჩბურთიც ჰქონდა... ცხადია, ეს ჩემი საუკეთესო ტურნირია — ჯერ ზეორმოცდაათეულელს (ფელისიანო ლოპესი) ვაჯობე, მერე კი ზეოცდახუთეულელს. თანაც ამხელა მილეთის წინაშე".

სხვაფრივ — დანიელ კრისტიან პლესთან ლაღად იჩოგნავა და სეზონის პირველ მეოთხედფინალში გაალწია ვეტერანმა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა. იქ მას შვედი იონას ბიორკმანი შეხვდება, ვინაც 15 იანვარს მამა გახდა და ვისაც სოჭელთან აქამდე ნათამაშებ ცხრა შეხვედრაში ერთხელაც ვერ უმარჯვია.

ბიორკმანმა იმ დღეს ადგილობრივთა ფავორიტი ანდრეა გაუდენცი დაჩაგრა. იტალიელები ახლა შარშანდელი ჩემპიონის, დავიდე სანგვინეტის იმედადღა არიან. დავიდემ კერპი ბელარუსი, მაქს მირნი გატეხა და ამბობს, რომ მილანი მისთვის იღბლიანი ქალაქია.

ამ იღბალს მეოთხედფინალში 23 წლის ჰოლანდიელი მარტინ ვერკერკი გამოსცდის — მან წინა დღეს ტომას ენკვისტი აოტა.

**PAN PACIFIC OPEN**
**ტოკიო. ხალიჩა**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**მონიკა სელეში (1, აშშ) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:4, 6:4; ლიზა რეიმონდი (აშშ) — ელენა დოკიჩი (2, იუგოსლავია) 6:4, 6:2; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 7:5, 7:6 (7:3); ჩანდა რუბინი (4, აშშ) — ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) 3:6, 6:1, 6:3**

ტოკიოს ბობოლა ტურნირზე გუშინ გამართულ მეოთხედფინალთა შედეგად ტოკიოს „მეტროპოლიტენ ჯიმნეიზიუმში" სანახევარფინალოდ მხოლოდ ამერიკელი ქალები დარჩნენ.

მთავარგანთესილმა მონიკა სელეშმა საათსა და 19 წუთში, სეტისაწაუგებლად აჯნო რუს ლინა კრასნორუცკაიას, ლინდსი დევენპორტმა ასევე სეტისწაუგებლად, მაგრამ უფრო დაძაბულ ხათქა-ხუთქში სძლია ტაილანდელ ტანასუგარნს, ჩია ჩანდა რუბინი კენარ ელენა დემენტიევას გაუსწორდა, ხოლო ლიზა რეიმონდმა სულაც ელენა დოკიჩი, ტურნირზე რანგით მეორე ჩოგნის მჩრეველი გააგდო.

დოკიჩმა ძალზედ უხალისოდ და უჯიგროდ ითამაშა — სათნო სახეზე ეწერა, რომ ჩოგბურთზე მეტად რაღაც სხვაზე ფიქრობდა. ოღონდ ეგ სხვა რა იყო, ამას მხოლოდ საქმეში ჩახედული ხალხი თუ მიხვდებოდა...



ელენა დოკიჩი

თუკი ჩვენს გუშინდელ მიმოხილვას გასცნობიხართ, გეხსომებათ, რომ დოკიჩთა ოჯახი ახლა სერბ ჩინოვნიკებს შემომწყრალა და იქიდან ლონდონს გადაბარგება განუზრახავს. ეს უკმაყოფილება ელენამ გუშინწინ პრესკონფერენციაზეც „გააჟღერა", როცა — სხვათა შორის — ისიც თქვა, ახლა უფლებაც რომ მქონდეს, იუგთა სახელით ფედერაციის თასზე მაინც არ ვითამაშებდიო.

ერთი სიტყვით, 19 წლის იუგგოგოს ახლა მძიმე გადაწყვეტილებათა მიღების ჟამი უდგას და, როგორც ჩანს, ამის გამო მცირე რამ გაურკვევლობაში იმყოფება.

დოკიჩი: „შანსები მქონდა, მაგრამ მან დღეს ყველა გადამწყვეტი ქულა მოიგო. მე მენტალურად მიჭირდა... ამის შედეგი იყო ყველაფერი. არა მგონია, დღეს ჩემი შესაძლებლობების ზღვარზე მეთამაშა. ამ წაგების მიზეზები მენტალურ სფეროშია საძიებელი და არა სადმე სხვაგან".

იმედია, დოკიჩი თავის მენტალურ პრობლემებში მალე გაერკვევა და ჩოგბურთის ტრფიალთ ძველებურად გვაამებს თავისი ბარაქიანი, ხორცსავსე ჩოგნაობით.

ხოლო სანამ ელენა გაერკვეოდეს, ამერიკელებს ყველაფერი გარკვეული აქვთ. ლიზა ლინდსის შეხვდება, მონიკა კი ჩანდას მოჩანთვას ეცდება. ამათგან გუშინ უშეცდომოდ და სრულყოფილად არც ერთს უთამაშია, ამიტომ სანახევარფინალო პროგნოზების კეთება ძალღუმაღური ამბავი უნდა იყოს.

რაც შეეხება ტოკიოურ ნახევარფინალში მხოლოდ ამერიკელთა გასვლას, ასეთი რამ იქ ბოლოჯერ 1989 წელს აღინიშნა.

**ლევან ძელაურაძე**

ჭადრაკი

# კასპაროვი მანქანას დაეჯახა

„DEEP JUNIOR"-ის და კასპაროვის მესამე შეხვედრა 3 საათსა და 45 წუთს გაგრძელდა და კომპიუტერის გამარჯვებით დასრულდა.

პირველი პარტიის მსგავსად, კასპაროვმა მესამეც დედოფლისწინა პაიკით დაიწყო და მძიმედ შეუტია მეტოქეს. იმ დღეს კასპაროვის მეტოქე ადამიანი რომ ყოფილიყო, მალე გატყდებოდა. ჭკვიანი მანქანა კი არ დაბნეულა და 30-ე სვლაზე თამაში გაათანაბრა. კასპაროვს მცირე დრო რჩებოდა და მისთვის უკეთესი იქნებოდა, ყაიმზე ეფიქრა, მაგრამ კარგ დასაწყისს ვერ შეელია და ძალიანაც შეცდა. 32-ე სვლაზე მხედარი, რომელიც მეფეს იცავდა, შეტევაზე გადაიყვანა. კომპიუტერმაც შეცდომა არ აპატია და ოთხ სვლაში მოიგო.

ანგარიში მე-3 ტურის მერე: 1,5-1,5.

**ლუკა გეგეჭკორი**



REUTERS ნიუ იორკიდან

გარი კასპაროვი ფრთხილად უნდა იყოს: მანქანას არ სძინავს

ჰოკეი

**NHL**

**30 იანვარი**

**ნიუ ჯერსი 3:4 კოლორადო 0:1 1:1 2:1 0:1**
0:1 ფორსბერგი (6), 0:2 ტანგეი 29), 1:2 ბარნაბი (20), 2:2 ნედვედი (52), 3:2 ბოლიკი (53), 3:3 ტანგეი (56), 3:4 დევრიზი (63)

**აილენდერსი 3:1 მონრეალი 0:1 0:0 3:0**
0:1 სუნდსტრიომი (26), 1:1 კვაშა (44), 2:1 პეკა (45), 3:1 პერიში (59)

**კოლუმბუსი 2:1 ნეშვილი 0:0 1:1 1:0**
1:0 რაიტი (23), 1:1 იუჰანსონი (34), 2:1 კნუტსენი (44)

**ტამპა 3:1 კაროლინა 0:0 2:1 1:0**
1:0 სან ლუი (24), 2:0 სან ლუი (33), 2:1 პ ეერემა (36), 3:1 სან ლუი (59)

**ვაშინგტონი 2:1 პიტსბურგი 0:1 1:0 1:0**
0:1 როზშივალი (13), 1:1 გონჩარი (22), 2:1 მილერი (52)

**დეტროიტი 2:2 ფლორიდა 1:1 1:0 0:1 0:0**
1:0 დაციუკი (14), 1:1 ლილია (20), 2:1 მაკარტი (30), 2:2 კოზლოვი (48)

**ატლანტა 2:5 ტორონტო 1:1 0:1 1:3**
0:1 დომი (11), 1:1 შმეპლიკი (13), 1:2 კორსონი (24), 1:3 ანტროპოვი (46), 2:3 კოზლოვი (48), 2:4 მაკოლი (50), 2:5 სუნდინი (57)

**ნიუ ჯერსი 5:1 ფილადელფია 3:0 0:0 2:1**
1:0 ნიდერმაიერი (5), 2:0 რაპი (7), 3:0 დანეიკო (17), 4:0 პანდოლფო (41), 5:0 გომესი (49), 5:1 შუინარი (59)

**სენტ ლუისი 2:1 ბუფალო 0:0 0:1 1:0 1:0**
0:1 დიუმონი (34), 1:1 დრეიკი (48), 2:1 იკაჩუკი (64)

**ბოსტონი 1:3 ჩიკაგო 0:1 1:1 0:1**
0:1 ფლერი (9), 0:2 არნასონი (28), 1:2 ნაბლი (36), 1:3 ფლერი (47)

**ვანკუვერი 3:3 ედმონტონი 2:0 1:2 0:1 0:0**
1:0 ლინდენი (15), 2:0 ჰ. სედინი (20), 2:1 ბრიუერი (22), 2:2 ფერგიუსონი (23), 3:2 ბერტუცი (35), 3:3 ჩაიმერა (46)

**სან ხოსე 3:4 ანაჰაიმი 2:3 0:1 1:0**
0:1 ოუთსი (2), 1:1 მარლო (8), 1:2 კროგი (9), 1:3 სიკორა (38), 2:3 ნოლანი (19), 2:4 რუჩინი (23), 3:4 ნოლანი (43)

**ლოს ანჯელესი 3:0 ოტავა 0:0 1:0 2:0**
1:0 სმოლინსკი (24), 2:0 პალფი (53), 3:0 პალფი (55)

# პეპსის ბიჭები

მანჩესტერში „პეპსის“ სარეკლამო ღონისძიება გაიმართა და ამ საქმეებში გამობრძმედილ დევიდ ბექემს ხუან სებასტიან ვერონიც ამოუდგა მხარში. ეს „პეპსის“ ახალი პოლიტიკა ყოფილა: სასმელის ახალ სახეებად რაული და რივალდოც არიან.



REUTERS მანჩესტერიდან



REUTERS პანამიდან

# პანამურად

ეს პანამელთა საყვარელი გართობა კორიდაა და არც არის კორიდა, რადგან ხარს არავინ კლავს. ქალაქ კანასის ახლოს ხარებთან ბრძოლის ფესტივალია გაჩაღებული. შეჯიბრში უბრალო გლეხობა მონაწილეობს და გამარჯვებულიც ის არის, ვინც ყველაზე დიდხანს გაძლებს შემოღობილ მოედანზე.

# ეს ბიჭი ჰაერშია

იუტას შტატში, განთქმულ ირმების ველზე გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფრისტაილში. ჩინელი შიაოტაო ოუ ჰაერში ისე მოსრიალებდა, როგორც მიწაზე და მეორე ადგილზეც გავიდა.




REUTERS დირ ველიდან



REUTERS ტოკიოდან

# სვლა

ასე იწყება სუმო. შეჯიბრს წინ რელიგიური რიტუალი უძღვის. თეთრად მოსილი ბერები შეჯიბრის გასახსნელად მიუძღვიან 22 წლის გოლიათ ასაშორიუს (სულ ბოლოში მოდის), რომელიც პირველი მონღოლია, იოკოძუნას წოდება რომ მიენიჭა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge